ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 16 სექტემბერი, 2022 №183 (8961) ფასი: 80 თეთრი

ვახტანგ გომელაური: „ბატონი ბიძინა გოგაშვილს ვერაფერს ვერ დაავალებდა, რადგან მას არ იცნობდა მაგ დროს“

გვ.5

„კობახიძე ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს მიზანმიმართულად აკეთებს“

გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „ხელისუფლებას და ოპოზიციას იწილო-ბიწილო აქვს გამართული“



„სახალხო დამცველის გამჭვირვალედ არჩევაზე „ოცნებამ უარი თქვა“

ანა ნაცვლიშვილი: „მაღლობა კობახიძეს თვითაღიარებისთვის“

გვ.2

ლევან ალაფიშვილი: „ევროკავშირის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას ვერ უზრუნველყოფს ასეთი პროცესი“

გვ.3

გვ.3

თაკო ჩარკვიანი: „ცოტა დაფიქრება არ აწყენდა „ზოგიერთ“ უვიცად კატეგორიულს და უზრდელს“

გვ.4

„რუსული გაზის გარეშე ევროპა არ მოკვდება“

ევროკავშირი მალე რუსეთის ენერგოშანტაჟის წინააღმდეგ ზომებს მიიღებს

რა მიზნით ჩამოვიდა საქართველოში ქსენია სობჩაკი



გვ.3

ბათუმის მერია ნაძვის ხისთვის მილიონ ლარს დახარჯავს

გვ.4

2 სალომე ზურაბიშვილი: „საქართველო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სახიფათო ესკალაციას გმობს“

5 სისხლიანი გარჩევა 74-ე სკოლაში

5 გოგაშვილი: „ვუსმენდით და უსმენენ ყველას, მომხრეებს, მოწინააღმდეგეებს, განურჩევლად პოლიტიკური და რელიგიური მრწამსისა“

6 ჩინეთი მზად არის, რუსეთთან ერთად, მსოფლიო მდგრადი განვითარების გზაზე დააყენოს

1993230720223

„კობახიძე ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს მიზანმიმართულად აკეთებს“

მამუკა გამყრელიძე: „ხელისუფლებას და ოპოზიციას იწილო-ბიწილო აქვს გამართული“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? ვხედავთ, ირგვლივ რაც ხდება. უკრაინის ამბებს სომხეთ-აზერბაიჯანი დაემატა. ამ დროს, ჩვენს ხელისუფლებას და ოპოზიციას იწილო-ბიწილო აქვს გამართული. ძალიან არასერიოზული საყურებელია ეს ყველაფერი. ყურადღების გადატანის მიზნით იქცევიან ასე თუ ვერ ხვდებიან, რა რეალობაში გვიწევს ცხოვრება?

– აბსოლუტური სიმართლეა. რაღაც უცნაური აცდენაა რეალობასა და იმ განცხადებებს და მოქმედებებს შორის, რასაც ჩვენ ვხედავთ გინდაც ხელისუფლების და გინდაც ოპოზიციის მხრიდან. რაღაც ისეთი დაწვრილმანება ხედვების, სამწუხარო საყურებელია. ეს გაუთავებელი კინკლაობა მაშინ, როდესაც მსოფლიოში მიმდინარეობს მართლაც გლობალური მნიშვნელობის პროცესები. ჩვენ კი სადღაც გაუგებარ რეალობაში ვართ. კობახიძის განცხადება წავიკითხე გუშინ, რომ ჩვენ არ უნდა დავუშვათ ომი დროებით ოკუპირებულ რეგიონებში.

– ჩვენ ხომ არ მოგვწონს, რუსები რომ ესვრიან უკრაინელებს და ჩვენ იგივე არ უნდა გავაკეთოთო. რატომ გაავლო ეს პარალელი?

– იცით, ასეთი გაიგივება იმპერიულ რუსეთთან საქართველოსი, აბსოლუტურად გაუგებარი, მიუღებელი და სახელმწიფო თვალსაზრისით, საშინელი განცხადებაა.

– ვერ გაიაზრა თუ მიზანმიმართული განცხადება იყო?

– ეს მიზანმიმართული განცხადებაა და ძალიან ცუდი განცხადება. უკვე მივიდნენ იმ წერტილამდე, რომ ყველა საზღვარი გადასულია და ფსკერი გახვრეტილია. ეს არის ანტისახელმწიფოებრივი განცხადება.

– სად არის დღეს ჩვენი ხელისუფლება, რომელ მხარეს? ან რა უნდა?

– არსად არ არის. აი ესაა სწორედ საქმე. როგორც ჩანს, უფრო რუსეთის მხარეს არის გადახრა, მაგრამ ამასაც ვერ აფიქსირებენ ღიად. თითქოს ევროპასთან ურთიერთობას ცდილობენ, შოლცთან ჩავიდა ღარიბაშვილი. ეს ცუდი არ არის, კარგია, მაგრამ ეს არის უბრალოდ საჩვენებელი გამოსვლები. საქმით ვერაფერს ვერ ვხედავთ.

„სოსო გოგაშვილის განცხადებებზე გამოძიება უნდა დაწყებულიყო და ვიღაცის თავები უნდა „მოჭრილიყო“

– ბატონო მამუკა, რადგან აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტი ვახსენეთ ამაზეც გკითხავთ. აქვე, ყურის ძირში მიმდინარეობს ეს პროცესები, რა გავლენა შეიძლება ჰპოვოს ჩვენზე ამ ყველაფერმა. რამეს აკეთებს ხელისუფლება იმისათვის, რომ დაცული ვიყოთ?

– რა თქმა უნდა, უზარმაზარი საშიშროება არსებობს ასეთი კონფლიქტის შემთხვევაში, რუსეთის მხრიდან მოხდეს კორიდორის გაჭრა და სომხეთისთვის იარაღის მიწოდება.

– ანუ შესაძლოა რაღაცნაირად ჩართულები აღმოვჩნდეთ ამ პროცესში?

– რა თქმა უნდა, შეიძლება და ამისთვის მზადებაა საჭირო და არავითარ შემთხვევაში ამ კორიდორის მიცემა არ შეიძლება. არ შეიძლება ცალმხრივი დახმარება ამ ორიდან ერთერთზე.

– საინტერესოა, რა პოზიციას დაიჭერს ხელისუფლება?

– არანაირი პოზიციის დაჭერა არ დასჭირდა ამ შემთხვევაში და ალბათ აღარც დასჭირდება.

– დიპლომატიური გზით მოგვარდითო, ასე შეუთვალა.

– რა თქმა უნდა. მისიაც გააგზავნეს დიპლომატიური და ამით შემოიფარგლნენ. რეალურად აზერბაიჯანი სარგებლობს რუსეთის სისუსტით. აზერბაიჯანმა და თურქეთმა ერთად ისარგებლეს ამ მომენტით და მაქსიმალურად გაიმყარეს იქ მდგომარეობა. რუსეთის როლი სამხრეთ კავკასიაში სერიოზულად დასუსტდა და მის ადგილს იკავებს თურქეთი. რაც ძალიან მისასალმებელია, რადგან თურქეთი უბრალოდ მეზობელი არ არის, ის ნატოს ქვეყანაა. თურქეთის გაძლიერება, ავტომატურად ნიშნავს ნატოს როლის გაძლიერებას სამხრეთ კავკასიაში. ჩვენ კი ამ პროცესს უნდა მივესალმოთ. ვგულისხმობ რუსეთის დასუსტებას. მეორე მხრივ, ძალიან ცუდია, მეზობლებს შორის რომ ასეთი დაპირისპირება და ომია. იმედია, რომ მშვიდობიანად მოგვარდება ეს ყველაფერი.

– ამ ფონზე, ჩვენი ხელისუფლება რატომ დგას დამარცხებული რუსეთის მხარეს?

– სხვა რა გამოსავალი აქვთ?!

– რატომ, საფლავში უნდა ჩაყვნენ პუტინს?

– იმდენად გაიფუჭეს საქმე დასავლეთთან, რომ გინდა გერმანიაში ჩავიდნენ და გინდაც სხვაგან, ამას აღარანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს. ამ თავდასხმებით, ევროპასთანაც და ამერიკასთანაც, კატეგორიულად გაიფუჭეს ურთიერთობა.

– გვიჩიჩინებენ 12-პუნქტიან გეგმასთან დაკავშირებით, მაგრამ არაფერიც არ კეთდება. ხელისუფლება თავისას გაიძახის, ოპოზიცია – თავისას. ზოგადად ოპოზიციაც არ გამოიყურება ამ ფონზე ღირსეულად.

– რანაირად უნდა გამოიყურებოდეს? იცით როგორი მდგომარეობაა, სხედან პარლამენტში, აბსოლუტურად არანაირი ბერკეტი არ გააჩნიათ იმისა, რომ პროცესებში მონაწილეობა მიიღონ და პროცესებზე გავლენა იქონიონ. მათ არანაირ შემოთავაზებას უმრავლესობა არ ღებულობს. რეალურად, ჩვენ გვაქვს ერთპარტიული მმართველობა.

– ოპოზიციურ ფლანგზე, ასე თუ ისე, დღის წესრიგს ქმნიდა ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ ახლა მათი პარტიიდან ისეთი ხმები გამოდის, შიგნით ისეთი დაპირისპირება აქვთ, რა ვერ გაიყვეს?

– მე არ მინდა განვიხილო ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესები. კარგი ამბები ნამდვილად არ გამოდის იქიდან. თუმცა აქ ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნაცმოძრაობას დიდი მხარდაჭერა აქვს მოსახლეობის მხრიდან. შესაბამისად, თუ ისინი იქნებიან ცუდად, ეს გავლენას იქონიებს მთლიანად ოპოზიციურ ველზე და ეს ყველას უნდა გვესმოდეს. ალბათ ჩვენ გვაქვს საქმე თაობათა ცვლასთან პოლიტიკურ ველზე. შესაძლებელია, გამოჩნდეს ახალი ძალები, რომლებიც უფრო ქმედით როლს ითამაშებენ.

– საზოგადოებაში სწორედ ამიტომაა უიმედობა და ნიჰილიზმი, რომ არ ჩანს ახალი არავინ. მათ არჩევანი ცუდსა და უარესს შორის უწევთ.

– ხალხშიც უკვე აღარაა ინტერესი პოლიტიკური პროცესების მიმართ. თვითდინებაზეა მიშვებული ყველაფერი. ხელისუფლებაში ქაოსია, მართვა არ იციან. მიშვებული ჰყავთ ეს ჩინოვნიკური აპარატი და ყველა ფულის კეთებაზეა გადასული.

– ფულის კეთება ახსენეთ და სოსო გოგაშვილზე გკითხავთ. ძალიან ცუდი საყურებელია ეს ყველაფერი, მაგრამ ეს არის ნათელი მაგალითი, თუ რა ხდება შიგნით.

– სოსო გოგაშვილის განცხადებების შემდეგ, გამოძიება აუცილებლად უნდა დაწყებულიყო და ვიღაცის თავები უნდა მოჭრილიყო. თუმცა ხომ ვნახეთ, ხალხშიც არ ყოფილა ამაზე არანაირი აღშფოთება. ძალიან ცუდია ასეთი დამოკიდებულება. ზუსტად ვიცი, რომ ხელისუფლება 12-პუნქტიან გეგმას არ შეასრულებს, ეს არის სრულიად გამორიცხული. ეს ევროპამაც კარგად იცის, მაგრამ მაინც ცდილობენ ჩვენს დახმარებას.

– არ ვეთმობით?

– რა თქმა უნდა, არ ეთმობა ეს ქვეყანა, იმიტომ, რომ უამრავი ფულია დახარჯული, იმიტომ, რომ უყურებენ ხალხის განწყობას და არის პერსპექტივა იმისა, რომ ეს ქვეყანა განვითარდეს.

ანა ნაცვლიშვილი: „მადლობა კობახიძეს თვითაღიარებისთვის“

მადლობა კობახიძეს თვითაღიარებისთვის – საჯაროდ გაამჟღავნა, რა არის გაყალბების მარჯა – პირდაპირ დაადასტურა, 30 პროცენტი სჭირდებათ იმისთვის, რომ ის შედეგი დაიწერონ, რასაც იწერენ ხოლმე არჩევნებზე, – ამის შესახებ „ლელოს“ დეპუტატმა ანა ნაცვლიშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც ირაკლი კობახიძის იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმად, ელექტრონული არჩევნები ქვეყნის მინიმუმ 70 პროცენტში ჩატარდება.

ნაცვლიშვილის თქმით, მმართველ პარტიას ხმების 30 პროცენტის გაყალბება სურს და ამიტომ გეგმავს ელექტრონულმა არჩევნებმა ქვეყნის მხოლოდ 70 პროცენტი მოიცვას.

– ელექტრონულ არჩევნებს რაც შეეხება, ეს ძალიან დიდი ხანია არის ოპოზიციის მოწოდება. ის, რომ გათვალისწინებული იქნება, ეს კარგია, მაგრამ მთავარი პრობლემა არის განცხადებაში, რომ 70 პროცენტი დაექვემდებარება ელექტრონულ არჩევნებს ანუ 30 არ დაექვემდებარება. არ ვიცი, ეს გამიზნულად მოხდა, შეცდომით თუ გადაღლილობით, მაგრამ ამით მმართველი პარტიის თავმჯდომარემ თავისდაუნებურად, საჯაროდ გაამჟღავნა, რა არის გაყალბების მარჯა – პირდაპირ დაადასტურა მან, რომ 30 პროცენტი სჭირდებათ იმისთვის, რომ ის შედეგი დაიწერონ, რასაც იწერენ ხოლმე არჩევნებზე და ამიტომ არ სურთ 30 პროცენტში ელექტრონული არჩევნები, მადლობა კობახიძეს, რომ ეს თვითაღიარება დადო, – განაცხადა ნაცვლიშვილმა.

ცნობისათვის, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ არჩევნები ელექტრონულად საარჩევნო უბნების უმრავლესობაში ჩატარდება, რაც, სულ მცირე, 70 პროცენტს მოიცავს.

ირაკლი კობახიძე: „პრეზიდენტის მოსმენა ვის რაში სჭირდება, აბსურდულია“

– პრეზიდენტის მოსმენა ვის რაში სჭირდება, – ასეთი პასუხი აქვს „ოცნების“ თავმჯდომარე კობახიძეს სალომე ზურაბიშვილის განცხადებასა და პოზიციაზე მოსმენებთან დაკავშირებით

კობახიძე თვლის, რომ მისი მოსმენა საინტერესოა, რადგან ბევრი ინფორმაციის მატარებელია და ბევრ გადაწყვეტილებას იღებს, თუმცა სალომე ზურაბიშვილის – არა.

კობახიძემ კიდევ ერთხელ ამტკიცა, რომ სისტემური მოსმენების პრაქტიკა წარსულს ჩაბარდა:

– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პრეზიდენტის მოსმენა ვის რაში სჭირდება. აბსურდულია განცხადებები და ჩვენ გვიწევს კომენტარების გაკეთება.

ჩემი მოსმენა შეიძლება საინტერესო იყოს, იმიტომ, რომ ბევრი ინფორმაციის მატარებელი ვარ და ბევრ გადაწყვეტილებას ვიღებ და ბევრ ადამიანთან მაქვს კომუნიკაცია, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, იყო გარკვეული სისტემური, სერიოზული სისტემური პრობლემა, რომელიც ჩვენ ჩავაბარეთ წარსულს და მე შეგახსენებთ, რომ 2012 წლამდე, როდესაც იყო ეს სისტემური პრაქტიკა, უმძიმესი პრაქტიკა დანერგილი, მაშინ ერთი, რომ უსმენდნენ და მერე ამას პრაქტიკაშიც იყენებდნენ ადამიანების წინააღმდეგ და სწორედ ასეთი ფორმით მოქმედებდა მაშინ რეპრესიული რეჟიმი.

სწორედ ეს რეპრესიული რეჟიმი დამთავრდა, ჩვენ ეს სისტემური მოსმენა არაფერში არ გვჭირდება, იმიტომ, რომ რეპრესიული რეჟიმი არ გვაქვს ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ვიღაცები როდესაც ავლებენ პარალელებს, ეს არის ცარიელი სპეკულაცია, როდესაც ამას აკეთებს რადიკალური ოპოზიცია, გასაგებია, პრეზიდენტი ამას რომ ვერ ხვდება, გასაგებია, რომ ამას ამოძრავებს იგივე დღის წესრიგი, რაც ამოძრავებს რადიკალურ ოპოზიციას, – ამბობს ირაკლი კობახიძე

– ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც რამის საუბარი რომ გვინდა, ვფიქრობთ, ტელეფონი დავიტოვოთ თუ გავიტანოთ, – ეს განცხადება სალომე ზურაბიშვილმა 1-ელ სექტემბერს გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

შეგახსენებთ, რომ ფარულ მოსმენა-მიყურადებასთან დაკავშირებით კანონპროექტს მან ვეტო დაადო, თუმცა „ოცნების“ პარლამენტმა ის დაძლია, თავმჯდომარე პაპუაშვილმა კი ხელი მოაწერა.

სალომე ზურაბიშვილი: „საქართველო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სახიფათო ესკალაციას გმობს“

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საზღვარზე არსებულ დაპირისპირებას „ტვიტერზე“ ეხმაურება.

– საქართველო ჩვენს ორ მეზობელსა და მეგობარს – სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სახიფათო ესკალაციას გმობს. მშვიდობიანი კავკასია არის გზა უფრო ძლიერი, განვითარებული და დამოუკიდებელი რეგიონისკენ, რომელიც ჩვენი მოსახლეობის მომავალს სარგებელს მოუტანს, – წერს სალომე ზურაბიშვილი.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: **akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სახალხო დამცველის გამჭვირვალედ არჩევაზე „ოცნებამ უარი თქვა“

ლევან ალაფიშვილი: „ევროკავშირის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას ვერ უზრუნველყოფს ასეთი პროცესი“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი, უფლებადამცველი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, მოქმედ სახალხო დამცველს უფლებამოსილების ვადა ნოემბერში გასდის. რამდენად გაქვთ მოლოდინი, რომ ახალი სახალხო დამცველი ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით იქნება შერჩეული?

– სამწუხაროდ, ასეთი მოლოდინი არ მაქვს. მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ ყველაფერი ამის საწინააღმდეგოდ გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ 12-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მოთხოვნა სწორედ ისაა, რომ სახალხო დამცველი ფართო კონსენსუსითა და ჩართულობით იყოს შერჩეული, ამაზე „ქართულმა ოცნებამ“ უარი თქვა. პროცესის დასაწყისი ჩაკეტა, ასე გამოდის, რადგან ვერ ვხედავთ ვერანაირ ინკლუზიურობას.

– „ქართულმა ოცნებამ“ პირობა დადო, რომ თავიანთ კანდიდატს არ წარადგენენ. მიუხედავად ამისა, მაინც ფიქრობთ, რომ მმართველ ძალასთან აფილირებული ომბუდსმენი შეიძლება დაინიშნოს?

– დიახ, რა თქმა უნდა. ეს სრულიად შესაძლებელია და სწორედ ვფიქრობ, რომ აქეთკენ მიდის ყველაფერი. ეს ბევრად უფრო ჭკვიანური და გათვლილი სვლაა, ვიდრე ღიად იმის განაცხადი, რომ ჩვენ ჩვენი კანდიდატი გვეყოლება. მათ პოლიტიკური განცხადება გააკეთეს – არ გვეყოლება კანდიდატი, მაგრამ კულისებში რა მოხდება, ჩვენ ხომ არ ვიცით. საზოგადოებას რა გარანტია აქვს, რომ სწორედ მმართველი პარტიის ინტერესების დამცველი თუ გამტარებელი სახალხო დამცველი არ გვეყოლება. ამიტომ არის საჭირო ასეთი ინსტიტუტების შერჩევის დროს ფართო ჩართულობა, რაც შეიძლება ფართო კონსენსუსის მიღწევა, რომ მსგავსი ეჭვები გამოირიცხოს. დემოკრატია სწორედ ასეთ ჩართულობას გულისხმობს და არა რაღაც განცხადებას, რომლის შეიძლება არც არავის სჯეროდეს.

ამიტომ ვამბობ, რომ ევროკავშირის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას ვერ უზრუნველყოფს ასეთი პროცესი. ეს არ არის გამჭვირვალე პროცესი. ასეთი მოცემულობა ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ოპოზიციის თუ საზოგადოების სხვადასხვა წრეების ინკლუზიურობას.

ცესკოს წევრებისა თუ თავმჯდომარის შერჩევის საკითხთან დაკავშირებით ზუსტად ანალოგიური პროცესი გავიარეთ. თუმცა, არ შეიძლება არ აღვნიშნო პრეზიდენტის უარი და პროცესის დაყოვნება, რომ მთლად ისე არ ყოფილიყო, როგორც იტყვიან – რასაც მინდა, იმას ვიზამ.

დღეს, სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ სწორედ ამ რეჟიმშია. მათ ხელშია საპარლამენტო უმრავლესობა და ფიქრობენ, რასაც გვინდა, იმას ვიზამთ, მაგრამ ისეთი საკვანძო ინსტიტუტები, როგორიც არის ომბუდსმენი, სასამართლო, რომელიც პირდაპირ დემოკრატიულობასთან არის მიბმული, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოში დემოკრატია, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს თვითონაც დასჭირდეთ. დემოკრატიაზე ორიენტირებული, მიუკერძოებელი, ნეიტრალური სახალხო დამცველი, მოსამართლე, ცესკოს თავმჯდომარე. თუ ასე არ არის და ჩემი არ სჯერათ, დაეკითხონ ნაციონალურ მოძრაობას. გაიარონ ნაციონალებთან კონსულტაცია, კარგად აუხსნიან, როგორ შესცოდეს მათ თავის დროზე და დღეს როგორ ნანობენ იმას, რომ სასამართლო არ არის თავისუფალი და დამოუკიდებელი, რომელიც ასე ძალიან სჭირდებათ.

– როგორ ფიქრობთ, სტატუსთან დაკავშირებით, ეს პროცესი რამდენად იქონიებს გავლენას ევროკავშირის საბოლოო გადაწყვეტილებაზე?

– რასაკვირველია, იქონიებს. წლის ბოლომდე მოგვცეს ვადა, რომ ეს პროცესი ყველამ ერთად სწორად გავიაროთ. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეს ვადა მისცეს ხელისუფლებას, რადგან მათ უნდა განახორციელონ დემოკრატიული რეფორმები, როგორიც არის სახალხო დამცველის არჩევის წესი, მთავარი პროკურორის არჩევის წესი. საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება და ა.შ. 12 პუნქტი მოგვეცა იმისთვის, რომ დემოკრატიული სახელმწიფოების ოჯახს დავუახლოვდეთ. თუ ასე გავაგრძელებთ, კი არ დავუახლოვდებით, პირიქით, უფრო დავცილდებით.

– ოპოზიციის ლიდერებმა გუშინ მოწოდება გააკეთეს, რაც შეიძლება მეტი ძლიერი კანდიდატი ჩაერთოს პროცესში, რომ მათ ბრძოლა უფრო გაუადვილდეთ. რამდენად არის შანსი?

– სიმართლე გითხრათ, მე ვერანაირ შანსს ვერ ვხედავ, რადგან ფილტრი პირველი საფეხურიდან იწყება. პარლამენტის თავმჯდომარემდე თუ მივა კანდიდატი და ის რამდენიმეს დაასახელებს, როგორც ეს არის გაწერილი, იქიდან უკვე ძალიან მარტივად მოხდება არჩევაც ანუ კენჭისყრაც. ამიტომ, მნიშვნელოვანია პირველი საფეხურიდან იყოს ღია, გამჭვირვალე, კონკურენტუნარიანი პროცესი, რასაც ვერ ვხედავ.

ირაკლი კობახიძე ნიკა მელიაზე – ყველაფერი, რაც უ-ზე იწყება, ამ კაცს მიესადაგება

– ჩვენ თვეების მანძილზე ვიყენებდით ტერმინ „უსამშობლოს“ და ახლაც ვიყენებთ ამ პოლიტიკური ძალის მიმართ. ესეც აჩვენებს კაცობის დეფიციტს, როდესაც შენს ტერმინს ვერ მოიფიქრებ და გინდა სხვისი ტერმინი შეატრიალო, – ასე აფასებს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელიას განცხადებას, რომელმაც კობახიძეს უსამშობლო უწოდა.

ირაკლი კობახიძის თქმით, ნიკა მელია არის „კაცის კაცი და არა პარტიის ლიდერი, არამედ ფორმალური თავმჯდომარე“.

– ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე არის კაცის კაცი და არა პარტიის ლიდერი, არამედ ფორმალური თავმჯდომარე. რეალური ლიდერი არის მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც თავად ასე ძლიერ ვერ იტანს. ასეთი ადამიანი ვერ იქნება ვერც ღირსების მატარებელი, ვერც სამშობლოს მოყვარული და ვერც ვერაფერი. ყველაფერი, რაც უ-ზე იწყება, მიესადაგება სწორედ ამ კაცს და ამ პოლიტიკურ პარტიას, რომლის ფორმალური თავმჯდომარეც არის, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

შეგახსენებთ, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ თეორიულად იმის დაშვება, რომ საქართველოს ცხინვალსა და აფხაზეთში ომი მოუწიოს, ნიშნავს არა მხოლოდ რუსულ საოკუპაციო ძალებთან, არამედ აფხაზებთან და ოსებთან ომს.

– როდესაც ჩვენ ღირებულებით ჭრილში შეშფოთებული ვართ იმით, რომ რუსები ესვრიან უკრაინელებს, ზუსტად ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ ასეთი თეორიული ვერსიაც, რომ ქართველი ესვრის აფხაზს და ქართველი ესვრის ოსს, – განაცხადა კობახიძემ.

„სტრატეგია აღმაშენებელი“: „ირაკლი კობახიძის განცხადება არის ანტიეროვნული და ანტიქართული“

„ირაკლი კობახიძის განცხადება არის ანტისახელმწიფოებრივი და ანტიქართული, „ქართული ოცნება“ არ გამოხატავს საქართველოს და მისი უმრავლესობის ინტერესს, რომლებიც უყოყმანოდ უჭერენ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ევროკავშირში ინტეგრაციას და უკრაინის თავისუფლებასა და სუვერენიტეტს“ – ამის შესახებ განცხადებას პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი“ ავრცელებს.

როგორც „სტრატეგია აღმაშენებლის“ განცხადებაშია აღნიშნული, ირაკლი კობახიძის განცხადება, სადაც ის, ერთი მხრივ, პარალელს ავლებს და ადარებს უკრაინისა და აფხაზეთის მდგომარეობას და მეორე მხრივ, საქართველოსა და რუსეთის ქმედებებს, არის ანტისახელმწიფოებრივი და ანტიქართული.

– კობახიძის განცხადება ნათლად მიუთითებს იმ რისკების შესახებ, რა დაბალი პოლიტიკური ღირებულებების და კულტურის მატარებელი ადამიანების ხელშია დღეს ჩვენი და ჩვენი ქვეყნის ბედი.

მისი განცხადებები სერიოზულ საფრთხეს შეიცავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, ახალისებს სეპარატიზმს და ღია თავდასხმაა უკრაინის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ინტერესებზე.

სამწუხაროა, რომ ის ვერ იქცა საქართველოს პოლიტიკოსად და დღემდე რჩება ბიძინა ივანიშვილის, პრორუსული და ანტიდასავლური განცხადებების მთავარ გამხმოვანებლად.

„სტრატეგია აღმაშენებელი“ გმობს კობახიძის განცხადებებს და მივმართავთ საერთაშორისო საზოგადოებას, მხედველობაში არ იქნას მიღებული ხელისუფლების წარმომადგენლების მსგავსი ანტიქართული, ანტიდასავლური, ანტიუკრაინული განცხადებები, რადგან „ქართული ოცნება“ არ გამოხატავს საქართველოს და მისი უმრავლესობის ინტერესს, რომლებიც უყოყმანოდ უჭერენ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ევროკავშირში ინტეგრაციას და უკრაინის თავისუფლებასა და სუვერენიტეტს, – ნათქვამია „სტრატეგია აღმაშენებლის“ განცხადებაში.

მელია კობახიძეს – „არაკაცის არაკაცო“

„არაკაცის არაკაცო!“ – ამ სიტყვებით ნიკა მელია ირაკლი კობახიძეს პასუხობს და „ოცნების“ თავმჯდომარეს ურჩევს, ვადამდელ არჩევნებთან ერთად პლებისციტის ჩატარებაზე იფიქროს.

კობახიძე ბრძანებს, რომ უსამშობლოს ჩვენ გვეძახდნენ და ჩვენ მათი ტერმინი შევუტრიალეთ.

კობახიძე ვერ ჩამოყალიბებულა – მე კაცის კაცი ვარ თუ მძულს და ვერ ვიტან მიხეილ სააკაშვილს.

ჰოდა, არაკაცის არაკაცო!

უ-საშველოდ დიდია ჩვენი მორალური უ-პირატესობა და მზად ვართ უ-ნაკლოდ და უ-პატიოსნესად შევასრულოთ ქართველი ხალხის დავალება და უ-სწრაფესად და უ-ეფექტურესად მოგაშოროთ ქვეყნის მართვას.

დიახ, ბევრი უ – შეგვესაბამება. მოდით, თქვენთვის შესაბამისი ასოს შერჩევა ამომრჩეველს მივანდოთ. ამაზეც პლებისციტის ჩატარებაზე იფიქრე ვადამდელ არჩევნებთან ერთად, რომ უ-ვადოდ მოგიშოროთ, – წერს მელია.

რა მიზნით ჩამოვიდა საქართველოში ქსენია სობჩაკი

რუსი ჟურნალისტი და ყოფილი პოლიტიკოსი ქსენია სობჩაკი მოსკოვიდან საქართველოში ჩამოვიდა. მისი რეისი ერევნიდან ცოტა ხნის წინ ჩამოფრინდა.

აეროპორტში სობჩაკმა ფორმულას უთხრა, რომ საქართველოში პირადი ვიზიტით იმყოფება.

კითხვაზე, რომელიც მისი კოლეგების და რუსი ოპოზიციონერების საქართველოში არ შემოშვებას ეხებოდა, სობჩაკმა უპასუხა, რომ საქართველო სუვერენული ქვეყანაა და ამ გადაწყვეტილების მიღება ქვეყნის უფლებაა.

– საქართველოში პირადი ვიზიტით ჩამოვედი, მე მიყვარს თბილისი. აქ საკმაოდ ხშირად ჩამოვდივარ. რაც შეეხება საქართველოს მიერ რუსეთის მოქალაქეებისთვის ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმას, ვიცი, რომ ჩემი ზოგიერთი კოლეგა არ შემოუშვეს, მათ შორის, მიხაელ ფიშმანი, არ ვიცი, რა მიზეზით უთხრეს მას უარი. არიან ადამიანები, რომლებსაც პრობლემების გარეშე უშვებენ. საქართველო სუვერენული ქვეყანაა, ამ გადაწყვეტილების მიღება ქვეყნის უფლებაა. პირადად მე საზღვარზე პრობლემა არ მქონია, – თქვა სობჩაკმა.

ქსენია სობჩაკი რუსეთში მოღვაწე კრიტიკული ჟურნალისტია, თუმცა რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრასთან დაკავშირებით მას მკაფიო პოზიცია არ დაუფიქსირებია. ამასთან, ქსენია სობჩაკი 2018 წლის რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში იღებდა მონაწილეობას და ვლადიმერ პუტინის პოლიტიკური ოპონენტი იყო.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვა რუსეთის პოლიტიკის არაერთ მოწინააღმდეგეს, მათ შორის ჟურნალისტებს, ოპოზიციონერ პოლიტიკოსებსა და ბლოგერებს.

თაკო ჩარკვიანი: „ცოტა დაფიქრება არ აწყენდა „ზოგიერთ“ უვიცად კატეგორიულს და უზრდელს“

დამოუკიდებელი დეპუტატი, პარტია „კანონი და სამართლის“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი სოცქსელში წერს:

– ჩემი რჩევა იმ პარტიის, რომელსაც 2018 წლიდან განსაკუთრებით ვგულშემატკივრობ როგორც დასავლური ვექტორის მსხვილ ოპო. პარტიას და როგორც შემეძლო, ბოლომდე გვერდით დავუდექი, რა თქმა უნდა, იდეის, სააკაშვილის და მაგარი ამომრჩევლის გამო, რომ არ დასუსტებულიყო ახლა „ზოგიერთ აღტკინებულ“ და მელიას უპირობო ზოგიერთ მომხრეს ვურჩევ გულწრფელად, კრიტიკის მიუღებლობით, მიშას მომხრეებზე თავდასხმებით, უზრდელობით ამ „შავრაზმული სტილით“ პარტია განადგურდება და 2016 წლის მდგომარეობაში აღმოჩნდება, ნუ თუ, რასაკვირველია, ეს არ არის თქვენი მიზანი თქვენს პოლიტიკურად სუსტ თავმჯდომარესთან ერთად!!!! ისე, შეგახსენებთ, თავად ნიკა მელია რომ დაიჭირეს, ოპოზიცია (ჩემი ჩათვლით) ბევრად უფრო აქტიურები ვიყავით და ვიბრძოდით მისი თავისუფლებისთვის, ხომ მართალს ვამბობ?! (მე, პირადად, ყველა პლატფორმა გამოვიყენე მაშინ). ჰოდა, დასკვნა თავად გამოიტანოს მკითხველმა, რა ხდება, ახლა რატომ ასეთი უძრაობა, რა ხდება?!!!!! ცოტა დაფიქრება არ აწყენდა „ზოგიერთ“ უვიცად კატეგორიულს და უზრდელს!!!!“

„რუსული გაზის გარეშე ევროპა არ მოკვდება“

ევროკავშირი მალე რუსეთის ენერგოშანტაჟის წინააღმდეგ ზომებს მიიღებს

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და ამის გამო დაწესებული სანქციების პირობებში ევროპის გამოზამთრების, რუსული გაზით მომარაგების საკითხები უსაფრთხოების პრობლემებს გაუტოლდა. რუსეთის ენერგომატარებლებზე ევროპის დამოკიდებულებას (რაც დღითიდღე მცირდება) რუსული პროპაგანდა ფართოდ იყენებს. კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა, რომ კრემლისთვის გაზი ყოველთვის ზეწოლის ინსტრუმენტი იყო.

ევროპის მოსალოდნელი გაყინვა, სასურსათო კრიზისი და სოციალური აფეთქებების მოლოდინი ევროპაში ქართველი პუტინისტებისთვისაც საკვანძო თემებია. უკრაინაში რუსეთის სამხედრო ჩაფლავების ფონზე კრემლის მომხრეები იმედს ცივ ზამთარზე ამყარებენ. პუტლერისტები საქართველოში ხალხს უყვებიან, სანქციების შემდეგ როგორ იზრდება რუსეთის შემოსავლები და როგორ ზიანდება დასავლეთი. მათი მტკიცებით, ზამთარი ევროპას უკიდურესად დააუძლურებს.

სინამდვილეში, ევროპა რუსული გაზისგან თავისუფლდება. ევროპამ რუსული გაზის იმპორტი 40%-დან უკვე 9%-მდე დაიყვანა. რა ზომები იქნება გატარებული რუსეთის წინააღმდეგ? რა მდგომარეობაში ჩავარდა გაზის მომწოდებელი რუსეთი და „გაზპრომი“? რა დასკვნები გამოიტანეს რუსეთზე მიბმულმა ევროპელმა პარტნიორებმა?

ამ და სხვა საკითხებზე „რადიო სვობოდას“ ესაუბრა უკრაინის „ნეფტოგაზის“ ყოფილი ხელმძღვანელი ანდრეი კობოლევი.

– ნიშნის მოგების სურვილი თუ გაგიჩნდათ? თქვენ აფრთხილებდით ევროპელ პარტნიორებს, რომ „გაზპრომი“ არასაიმედო პარტნიორია, რომ ის შანტაჟს დაიწყებს.

– ნიშნს არავის ვუგებ, თუმცა მაქვს კმაყოფილების განცდა იმის გამო, რომ ახლა ძალიან საინტერესო მომენტი დადგა. მას შეუძლია წერტილი დაუსვას ევროპის წინააღმდეგ რუსული გაზის, როგორც იარაღის გამოყენებას.

– პუტინი თავისი შეძახილებით „გაიყინე, გაიყინე“, ანგრევს იმ კომპანიების ენერგეტიკულ რეპუტაციას, რომლებიც საბჭოთა დროიდან ყალიბდებოდა. მაშინ ასე ამბობდნენ – შესაძლებელია კონფლიქტები სსრკ-სა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, მაგრამ ნავთობი და გაზის მოწოდება მაინც უწყვეტად მოხდებაო.

– პუტინი ხანგრძლივად და ენერგიულად უმტკიცებდა მთელ მსოფლიოს, რომ გაზი მსოფლიოზე ზეწოლის უნიკალური ბერკეტია, რომ რუსეთი შეუცვლელი ენერგიის წყაროა. ფსიქოლოგების თქმით, პროპაგანდის წყარო ხშირად ექცევა მისივე გავლენის ქვეშ. ჩემი აზრით, პუტინმა ეს ყველაფერი თვითონ დაიჯერა. ახლა მას გამოფხიზლების დრო დაუდგა: რეალობა სხვაა. ევროპა უგაზოდ არ მოკვდება. ეს არის კომფორტის, ეკონომიკის საკითხი, მაგრამ სიკვდილი რუსული გაზის გარეშე არ დადგება. ყველანი მოემზადნენ იმისთვის, რომ შეიძლება მან გაზი გადაკეტოს.

– უგაზოდ არავინ დარჩება. არსებობს დიდი ბაზარი, მაგრამ ფასები ძალიან სერიოზულად მატულობს. საუბრობენ იმაზე, რომ ევროპაში მთელი რიგი დაწესებულებები დაიხურება. როგორ უნდა შეწყდეს ეს სატარიფო აფეთქება?

– ვფიქრობ, რომ მალე, უახლოეს ხანში დავინახავთ საინტერესო ნაბიჯებს ევროკომისიისგან. ის განიხილავს რამდენიმე ინსტრუმენტს. ყველაზე სწრაფი ინსტრუმენტია რუსეთში ნაყიდი გაზის ფასების შეზღუდვა. არის უფრო ხანგრძლივი ინსტრუმენტები – გადასახადები. იმედი მაქვს, ასეთი ინსტრუმენტი გახდება ასევე ანტიმონოპოლიური გამოძიება. სამი ინსტრუმენტის კომბინაცია ევროკავშირის მთავრობას საშუალებას მისცემს, ჩაატაროს სტანდარტული ვარჯიშები. უკრაინაში ეს წლების განმავლობაში კეთდებოდა გაზის ბაზრის რეფორმის შემდეგ. დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის ეკონომიკა საკუთარ თავს დააბალანსებს.

– მას შემდეგ, რაც „გაზპრომში“ ხელმძღვანელად მოვიდა პუტინის თანამოაზრე ალექსეი მილერი, კომპანია შეიპყრო ახალი მილსადენების იდეამ. უკვე მაშინ უნდოდათ უკრაინის დასჯა და მისთვის სატრანზიტო სტატუსის ჩამორთმევა. ამდენი წლის განმავლობაში ევროპაში რატომ ვერავინ მიხვდა ამ მილსადენების აგების ნამდვილ მიზანს?

– ჭკვიანი ადამიანები მიხვდნენ. პუტინმა სტრატეგიულად სწორად შეარჩია კონტრაგენტად გერმანია.

– მახსოვს, წინა წლებში პრესკონფერენციებზე გერმანელი ჟურნალისტები თქვენ გიმტკიცებდნენ, რა კარგი და საჭიროა „ჩრდილოეთი ნაკადი 1“, „ჩრდილოეთი ნაკადი 2“. რუსეთმა ასე კარგად მოახერხა დეზინფორმაციის ორგანიზება?

– ფრაზა „ეს ხელსაყრელია გერმანელებისთვის“, არ ეწინააღმდეგება ფრაზას „უკრაინა უნდა დაისაჯოს“. აქ არის ის შეცდომა, რომელიც გერმანელებმა დაუშვეს. მათ გერმანიის ინტერესი დააყენეს ევროპის სოლიდარულ ინტერესებზე მაღლა. ახლა ხდება ამ შეცდომის გასწორება. რუსებმა დაიწყეს გერმანელების ისევე დაშანტაჟება, როგორც აქამდე უკრაინას აშანტაჟებდნენ.

4 დარგი, სადაც ყველაზე მაღალი ხელფასებია საქართველოში

2022 წლის მე-2 კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16.1 პროცენტით ანუ 213.3 ლარით გაიზარდა და 1.541.3 ლარი შეადგინა. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: ინფორმაცია და კომუნიკაცია – 3.108.8 (გაიზარდა 43.1 პროცენტით); საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები – 2.671 ლარი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 13.4 პროცენტით); მშენებლობა – 2.177.6 ლარი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 8.5 პროცენტით); სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება – 2.026.4 ლარი (გაიზარდა 16.6 პროცენტით).

ვახტანგ ჭარაია: „ფოთის პორტი რომ დააყადაღონ, საქართველოს ეკონომიკას რა ელოდება, თუ წარმოუდგენია ვინმეს?!“

– ფოთის პორტი რომ დააყადაღონ, ფიზიკურად გემი არ შემოვიდეს და არ გავიდეს, საქართველოს ეკონომიკას რა ელოდება, თუ წარმოუდგენია ვინმეს?! ამიტომ, ჩვენ ძალიან ფრთხილები უნდა ვიყოთ მსგავსი მოწოდებების აყოლაში და საღი გონება გვმართებს, – ამის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორმა ვახტანგ ჭარაიამ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ უკრაინულ ვებ-გვერდზე „ომი და სანქციები“ იმ პირების გრაფაში, ვის მიმართაც ჯერჯერობით სანქციები არ არის გამოყენებული, ქართველი ბიზნესმენების საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალია. სიაში მოხვდა ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილიც, რომლის პროფაილში მითითებულია, რომ ის არის ფოთის პორტის ერთ-ერთი მფლობელი. ფოთის პორტის დიდი ნაწილი კი ეკუთვნის კომპანია „პეტროკას“.

– ჯერ დასამტკიცებელია, რამდენად ეკუთვნის ეს პორტი ამ ადამიანს, მაგრამ ფოთის პორტი რომ დააყადაღონ, ფიზიკურად გემი არ შემოვიდეს და არ გავიდეს, საქართველოს ეკონომიკას რა ელოდება, თუ წარმოუდგენია ვინმეს?! ამიტომ, ჩვენ ძალიან ფრთხილები უნდა ვიყოთ მსგავსი მოწოდებების აყოლაში და საღი გონება გვმართებს. მიუხედავად იმისა, მართალია ვანო ჩხარტიშვილი, თუ მართლაც მიუღია მონაწილეობა რამე მოლაპარაკებებში, როგორც ამას უკრაინელები ამბობენ. მოდით, სასამართლოს მივანდოთ ეს საკითხი, ან თუ პოლიტიკურ დონეზეა განხილვა, პოლიტიკოსებმა იდებატონ თავიანთთვის, მაგრამ, როდესაც სანქციერებას და უშუალოდ ნაბიჯის გადადგმას ითხოვენ, ასეთი ზეპირი მოხსენებების დონეზე... სხვათა შორის, ჩვენ დღემდე არ მიგვიღია არანაირი მტკიცებულება უკრაინელების განცხადებაზე, რომ რუსეთს ვაწვდით იარაღს და ორმაგი დანიშნულების პროდუქციას. არ შეიძლება, ასე უბრალოდ, მეგობარი ქვეყნის მხრიდან, საქართველოს მსგავსი ულტიმატუმები წაუყენოს, საერთაშორისო რეპუტაცია გაუფუჭოს. მით უმეტეს, მერე ფოთის პორტის მსგავსი ობიექტი დაუყადაღო, დაუსანქციირო და თქვა, რომ საქართველო ჩვენი მეგობარია, მხარს ვუჭერ.

მე, პირადად, უკრაინას მხარს ვუჭერ და სოლიდარული ვარ უკრაინელების მიმართ, მაგრამ არის რაღაც ზღვარი, რის იქითაც არც უკრაინელები უნდა გადავიდნენ და არც ჩვენ უნდა ავყვეთ ვიღაცების უბრალოდ მონაყოლს, – განაცხადა ვახტანგ ჭარაიამ.

რუსეთიდან საქართველოში ვიზიტორების რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა

2022 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთიდან ვიზიტორების რიცხვი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 5-ჯერ გაიზარდა.

კერძოდ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, გასულ თვეში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რუსეთიდან საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 434.4%-ით არის გაზრდილი.

უფრო კონკრეტულად, 2022 წლის აგვისტოში რუსეთიდან საქართველოს 213.261 ვიზიტორი ეწვია, მაშინ როცა, 2021 წლის ამავე პერიოდში ეს მაჩვენებელი 39.909 იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით, ტოპ-15 ქვეყანას შორის რუსეთი 1-ელ ადგილზეა. მას მოსდევს სომხეთი – 138.471 ვიზიტორით, მე-3 ადგილზე კი თურქეთია – 103.548 ვიზიტორით.

ბათუმის მერია ნაძვის ხისთვის მილიონ ლარს დახარჯავს

მილიონი ლარი ქალაქის ბიუჯეტიდან ბათუმის ნაძვის ხისთვის – ქალაქის მერმა, არჩილ ჩიქოვანმა, საახალწლო მზადება უკვე დაიწყო. ირკვევა, რომ ბათუმის მერია ნაძვის ხეს არა ტენდერით, არამედ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ყიდულობს.

აჭარაში მოქმედი ოპოზიციური პარტიები არჩილ ჩიქოვანს კორუფციაში ადანაშაულებენ.

რამდენად მიზანშეწონილია, ამხელა ფული, მილიონი ლარი, გადავიხადოთ ბათუმის ნაძვის ხეში, როცა ინფრასტრუქტურა, წყალი, სხვა საკითხები ქალაქში მოუწესრიგებელია? ეს უამრავ კითხვის ნიშანს აჩენს.

კითხვის ნიშნები ჩნდება კიდევ ერთ პირთან მოლაპარაკებით შესყიდვაზე, – აცხადებს ნაციონალების წევრი მირდატ ქამადაძე.

აგვისტოში რუსეთიდან ფულადი გზავნილები 194.6%-ით გაიზარდა

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მიმდინარე წლის აგვისტოში საქართველოში 334.3 მილიონი აშშ დოლარის ფულადი გზავნილი შემოვიდა, რაც 2021 წლის აგვისტოს მაჩვენებელს, 204.9 მილიონ დოლარს, 63.1%-ით აღემატება.

გზავნილების მოცულობით პირველ ადგილზე კვლავ რუსეთია. კერძოდ, აგვისტოში რუსეთიდან 110.9 მილიონი დოლარის ფულადი გზავნილი შემოვიდა, რაც 194.6%-ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე, 37.65 მილიონზე. რუსეთის წილი მთლიან გადმორიცხულ თანხაში 33%-ს შეადგენს.

ტოპ-10 ქვეყანა, საიდანაც 2022 წლის აგვისტოში ყველაზე მეტი თანხა გადმოირიცხა, ასე გამოიყურება:

რუსეთი – 110.9 მლნ დოლარი; იტალია – 36.59 მლნ; აშშ – 29.21 მლნ; საბერძნეთი – 18.76 მლნ; ისრაელი – 17.98 მლნ; სომხეთი – 16.90 მლნ; გერმანია – 15.24 მლნ; ყირგიზეთი – 13.49 მლნ; ყაზახეთი – 12.07 მლნ; თურქეთი – 9.12 მლნ.

2022 წლის 8 თვეში ქვეყანაში სულ 2 მლრდ 427 მლნ აშშ დოლარის ფულადი გზავნილი შემოვიდა, საიდანაც 961 მლნ 169 ათასი დოლარი რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა.

საქართველოდან საზღვარგარეთ კი წლევანდელ აგვისტოში 29.5 მლნ აშშ დოლარი გადაიგზავნა, რაც 2021 წლის აგვისტოს (27.4 მლნ აშშ დოლარი) ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 7.6%-ით მეტია.

რომელ წლამდე გამოშვებული მანქანის შემოყვანა იკრძალება საქართველოში

საქართველოში, სავარაუდოდ, ძველი ავტომობილების იმპორტი აიკრძალება – შეზღუდვები ქვეყანაში 2013 წლამდე გამოშვებული მანქანების შემოყვანას შეეხება.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ცვლილებაზე უკვე მუშაობს და ინიციატივით პარლამენტს უახლოეს პერიოდში მიმართავს. მისი დამტკიცების შემთხვევაში, ევრო 5-ზე დაბალი სტანდარტების მანქანების შემოყვანა საქართველოში აიკრძალება.

„ავტოიმპორტიორთა ასოციაციაში“ პროგნოზირებენ, რომ ამ ცვლილების შედეგად ავტოინდუსტრიის სფეროში დასაქმებულები უკიდურესად დაზარალდებიან

ექსპორტში მეორე ადგილზე ვიყავით, გადავინაცვლეთ მესამეზე. თუმცა, პირველ ხუთეულში ვართ ავტოიმპორტის თვალსაზრისით. ჩვენთან მანქანების უმეტესობა არის 2013 წლის ქვემოთ, განსაკუთრებით ტაქსები.

მესმის, რომ ეს ეკოლოგიაა, მაგრამ სხვა დანარჩენი ჩვენი მოქალაქეების ჯიბეს ურტყამს.

მოვითხოვთ სოფლის მეურნეობისგან პასუხს, ვის ეკონტაქტნენ, რა კვლევის საფუძველზე მიიღეს მსგავსი გადაწყვეტილება? – ამბობს ალექსანდრე ნონიაძე, ავტოიმპორტიორთა ასოციაციის თავმჯდომარე.

ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას საქმეზე ჩვენება არქიმანდრიტმა ილარიონმა მისცა

საქართველოს ტერიტორიების საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებებში ბრალდებულების, ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას საქმეზე ჩვენება არქიმანდრიტმა ილარიონმა მისცა. ის 2004 წლიდან დავითგარეჯის მონასტერში მოღვაწეობს და ლავრის წინამძღვარია.

– გიორგი მანჯგალაძე მაშინ კომისიის თავმჯდომარე იყო, ჩემი ინიციატივა იყო შეხვედრა, თუ არ ვცდები, 2006 წელი იყო, მე დავუკავშირდი და ერთად დავათვალიერეთ.

ჩემი მიზანი იყო მისთვის უდაბნოს მონასტერი მეჩვენებინა, დანარჩენი ჩემი სფერო არ იყო.

ივერი მელაშვილი ამ საკითხზე მუშაობდა და შევხვედრივარ, კარგი შეხვედრა იყო, თუ არ ვცდები, 2-3-ჯერ შევხვდი, ერთხელ თბილისშიც. რაც მახსოვს, ბატონი ივერი გვეუბნებოდა, რომ ჩიჩხიტურის კოშკი არის აზერბაიჯანის მხარეს, ასე ფიქსირდება რუკაზეო. უდაბნოს მონასტერზე არ გვისაუბრია, არ მინდა ტყუილი ვთქვა, – განაცხადა არქიმანდრიტმა.

მან ასევე იმჟამინდელი პოლიტიკური თანამდებობის პირებისგან დავითგარეჯთან დაკავშირებით შეფასებებიც გაიხსენა და აღნიშნა, რომ „არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებდნენ“. მან ასევე, 2007 წელს მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებაც გაიხსენა.

– ყველას შეუძლია ეს მოისმინოს, საჯაროა. მან თქვა, ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ სტრატეგიული სიმაღლეები აზერბაიჯანს დარჩეს და მონასტერი ჩვენო. ალბათ, არ იცოდა ამ კონკრეტული ადგილის გეოგრაფია, – განაცხადა არქიმანდრიტმა ილარიონმა.

ცნობისთვის, გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი – ივერი მელაშვილი და საქართველოს შს სამინისტროს საზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი ნატალია ილიჩოვა დააკავა. პროკურატურის ინფორმაციით, ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ბრალდებულები საზღვრების დელიმიტაციის პროცესში ხელმძღვანელობდნენ 1970-80-იან წლებში გამოცემულ რუკებზე დატანილი საზღვრის ხაზებით, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვარს, მათ შორის დავითგარეჯთან მიმართებაში.

სახელმწიფო ბრალდების ცნობით, ბრალდებულები განზრახ, ზემდგომი პირების დავალებების შესაბამისად მოქმედებდნენ.

ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა თბილისის საქალაქო სასამართლომ სხდომათა დარბაზიდან გასული 2021 წლის 28 იანვარს გაათავისუფლა. მოსამართლემ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 20 000 – 20 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა.

გოგაშვილის ცოლი: „ირაკლი კობახიძე ჩვენ ოჯახში მოვიდა შავი დაბურული „შკოდით“, საუბარი 2 საათი გაგრძელდა“

სოსო გოგაშვილის ცოლი, თია მარტყოფლიშვილი ამბობს, რომ დაახლოებით 1 წლის წინ, მაშინ, როცა მისი ქმარი სუს-იდანაც და „ქართული ოცნებიდანაც“ წასული იყო, მათთან სახლში ირაკლი კობახიძე მივიდა და გაჩუმების სანაცვლოდ „საქართველოს რკინიგზაში“, ხელმძღვანელ თანამდებობაზე დასაქმება შესთავაზა.

– ირაკლი კობახიძე ჩვენ ოჯახში მოვიდა 1 წლის წინ, როდესაც მათ უკვე თურმე საქმე აღძრული ჰქონიათ და იგი მოვიდა შავი ფერის დაბურული შკოდით. როცა 2 საათი გაგრძელდა საუბარი და გამოვედი, მკაცრი ტონით უთხრა ირაკლი კობახიძეს, რაც ჩემი ყურით კარგად გავიგონე – ირაკლი, გაიგე, სოსო გოგაშვილი არ იყიდება.

შემოთავაზება იყო, რომ (მე – სოსო გოგაშვილი) რკინიგზაში უნდა წასულიყო უფროსად, ექნებოდა 20 000 ლარი ხელფასი და იქნებოდა ძალიან მშვიდად, გაჩუმების სანაცვლოდ, – ამბობს თია მარტყოფლიშვილი.

იგი დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ამ შეთავაზებით, პირადად ივანიშვილის დავალებით მივიდა:

– ირაკლი კობახიძე რა ფიგურაა ისეთი, რომ თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს რამე, თუ არა ბიძინა ვანიშვილის დავალებით რომ არ მოსულიყო ის ჩვენთან, – ამბობს სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსნის მეუღლე.

გოგაშვილი: „ვუსმენდით და უსმენენ ყველას, მომხრეებს, მოწინააღმდეგეებს, განურჩევლად პოლიტიკური და რელიგიური მრწამსისა“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი მაღალჩინოსანი სოსო გოგაშვილი ციხიდან მორიგ წერილს აქვეყნებს და ამბობს, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში უკანონო მოსმენების მასშტაბმა რამდენჯერმე გადააჭარბა ენმ-ის პერიოდს.

მისი თქმით, ისმინება არა მხოლოდ ე.წ. მთავარი ობიექტი, არამედ მისი ოჯახის წევრები და გარემოცვა.

გოგაშვილი ამბობს, რომ უკანონო მოსმენებს ახორციელებს დაახლოებით, 2 000 ოპერატიული მუშაკი, ხოლო თითოეულ მათგანს საშუალოდ ჩართული ჰყავს 50 ობიექტი. მისი განცხადებით, „კონტროლდება“ პრეზიდენტის ოფისი, ოპოზიციური პარტიების ოფისები, არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო მისიების, რელიგიური კონფესიების და ა.შ. ოფისები.

სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსანი ამბობს, რომ „ოტოს“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ამოწმებს, თუმცა, ინსპექტორი წინასწარ უკავშირდება სუს-ის უფროსსა და აფრთხილებს დაგეგმილი შემოწმების შესახებ.

– უკანონო მოსმენები რომ მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში, ეს უკვე ყველამ იცის. ამ მძიმე უფლების დარღვევას, სამწუხაროდ, საზოგადოება მიეჩვია და ყურადღებას აღარ აქცევს სათანადოდ. მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ოცნების მმართველობის პერიოდში, უკანონო მოსმენების მასშტაბმა რამდენჯერმე გადააჭარბა ნაცების პერიოდს.

ვუსმენდით და უსმენენ ყველას, მომხრეებს, მოწინააღმდეგეებს, განურჩევლად პოლიტიკური, რელიგიური და ა.შ. მრწამსისა. ისმინება არა მხოლოდ ე.წ. მთავარი ობიექტი, არამედ მისი ოჯახის წევრები და გარემოცვა, რადგან ყველა ერიდება ტელეფონში რაიმე მნიშვნელოვანის თქმას, თუმცა თუ ობიექტი მის ახლობელს ეტყვის რაიმეს საიდუმლოდ, ამ უკანასკნელმა შეიძლება ვინმეს ტელეფონით გაუმხილოს, რაც ოტოს აძლევს საშუალებას გაიგოს, რას ფიქრობს მთავარი ობიექტი. ივანიშვილი მოსმენებისათვის იყენებს არა მარტო სუსს, არამედ შსს, თავდაცვის სამინისტროს, კრიმინალურ პოლიციას, დაზვერვასა და პროკურატურას.

საბოლოოდ, უკანონო მოსმენებს ახორციელებს დაახლოებით 2.000 ოპერატიული მუშაკი. თითოეულ მათგანს საშუალოდ ჩართული ჰყავს 50 ობიექტი, ერთდროულად შესაძლებელია დაახლოებით 100.000 ადამიანის მოსმენა. ოტოს შემოწმებას ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, თუმცა ეს ფიქტიურია. ინსპექტორი წინასწარ უკავშირდება სუსის უფროსსა და აფრთხილებს დაგეგმილი შემოწმების შესახებ. სუსის უფროსი თავის მხრივ აფრთხილებს ოტოს უფროსს და გეგმიური შემოწმების დროს უკანონო მოსმენები ჩერდება. ამ პერიოდში უსმენენ მხოლოდ განჩინებით ,,შემოწმება“ გრძელდება დაახლოებით ორი კვირა. გარდა ჯი ეს ემ (GSM) ქსელების მოსმენისა, ოტო უკანონოდ უსმენს ვირუსების საშუალებით სხვადასხვა აპლიკაციების, კომპიუტერების, ლეპტოპების, ასევე შეიძლება ოფისების უკანონო აღჭურვა. კონტროლდება პრეზიდენტის ოფისი, ოპოზიციური პარტიების ოფისები, ენჯეოების, საერთაშორისო მისიების, რელიგიური კონფესიების და ა.შ.

ე.წ. ,,ვიპ პერსონების“ საუბრებს ოტო უგროვებს ივანიშვილს და ყოველდღიურ რეჟიმში აწვდის მას. ჩემს პერიოდში ოტოდან ბექა მამარდაშვილი მე მიგზავნიდა ამ კრებსებს, რომელსაც ვამუშავებინებდი სპეციალურ ჯგუფს და ყოველ მეორე დღეს ვატანდი ჩემს თანამშრომლებს ივანიშვილთან, კობახიძესთან, პარტიაში და პრემიერ-მინისტრთან, რა თქმა უნდა, გომელაური იღებდა სრულ პატაკს.

ივანიშვილი, ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში გვაძლევდა მითითებებს (სუსსა და პარტიას), რომელი ობიექტისთვის რა უნდა გაგვეკეთებინა.

ივანიშვილმა ამ ბინძურ საქმეში ჩაგვრთო და გაგვსვარა ყველა, პრემიერიდან დაწყებული, რიგითი ოტოშნიკით დამთავრებული. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის დამადასტურებელი მტკიცებულებები არსებობს, არიან ადამიანები, ვინც ამას დაადასტურებენ.

სისხლიანი გარჩევა 74-ე სკოლაში

დადგება თუ არა თავდაყირა სკოლაში მომხდარი სისხლიანი გარჩევის საქმე? – დაცვის მხარის მტკიცებით, განყოფილებაში ოთხივე მოწმე, ვინც პროკურატურის სასარგებლო ჩვენება მისცა, ფსიქოლოგიური ტერორის მსხვერპლი იყო.

უფლებადამცველების თქმით, 74-ე სკოლის მოსწავლეებმა ხელი არასრულწლოვან მე-10 კლასელს დაადეს და თქვეს, რომ 15 წლის მოზარდს 2 ჭრილობა სწორედ ბრალდებულმა მიაყენა, თუმცა, ირკვევა, რომ ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენება საკუთარი ნებით არავის მიუცია და გამოძიება მთელი რიგი კანონდარღვევებით ჩატარდა.

ბრალდების მხრიდან სხდომის დაწყებამდე სკანდალური განცხადება გაკეთდა. პროკურატურამ პირდაპირ დაადო ხელი დაცვის მხარეს და ზეწოლაში დაადანაშაულა.

– არასრულწლოვნებს, მათ შორის მედიის მხრიდან განხორციელებულ ზეწოლის შედეგადაც, აღარ სურთ იმ ფაქტების დაფიქსირება, რასაც თავის დროზე ამბობდნენ. ამიტომაც დღეს შეცვლილი გარემოება და დაცვის მხარის აქტიური ზემოქმედება მათზე, მათთვის აღმოჩნდა მასტიმულირებელი, რომ ეს განცხადებები გაეკეთებინათ ჟურნალისტებთან, – აცხადებს პროკურორი.

ბრალდებულის ადვოკატი ამბობს, რომ არანაირ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას მოზარდებზე ადგილი არ ჰქონია, უბრალოდ, პოლიციაში გამოკითხვის ოქმებში მათ მიერ მიწოდებული ინფორმაცია არასწორად იყო დაფიქსირებული, რისი დაზუსტებაც მოხდა მოწმეების მხრიდან.

– არავინ არ შეცვლის ჩვენებას გამოძიების სტადიაზევე და საჯაროდაც. მოწმეებმა განაცხადეს ის, რომ პირველად პოლიციაში გამოკითხვის ოქმებში მათ მიერ მიწოდებული ინფორმაცია არასწორად იყო დაფიქსირებული. გამოძიების პროცესში, მოწმეები ითხოვდნენ, რომ დაეზუსტებინათ მათ მიერ მიცემული ინფორმაცია. შემდგომ უკვე დაცვის მხარემ მოვახდინეთ გამოკითხვა აღნიშნული მოწმეების და დაფიქსირდა ის ინფორმაცია, რაც მოგვაწოდეს მოწმეებმა, – ამბობს ადვოკატი.

ალექსანდრე სამხარაძე: „წამიღია კრებსი ივანიშვილთან, კობახიძესთან, სამხარაძესთან“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი ალექსანდრე სამხარაძე სოსო გოგაშვილის წერილს ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით ადასტურებს.

სამხარაძე „ფორმულასთან“ საუბარში ამბობს, რომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც თავად მიუტანია კრებსები ირაკლი კობახიძისთვის, კახა კალაძისა და ბიძინა ივანიშვილისთვის, მათ შორის პარტიის ოფისშიც.

სამხარაძე სუს-ში 2021 წლამდე მუშაობდა.

– მოსმენები დგება, იკინძება ეს კრებსები და მერე მიდის შესაბამის უწყებასთან და პიროვნებებთან. ბევრჯერ წამიღია კრებსი მეც, გაუტანებია გოგაშვილს ჩემთვის. წამიღია ბიძინა ივანიშვილთან, ირაკლი კობახიძესთან, დიმიტრი სამხარაძესთან, კახა კალაძესთანაც და უჩა მამაცაშვილთანაც. პირადად არა, მაგრამ გადამიცია კობახიძისთვის განკუთვნილი კრებსი. [მიმქონდა] პარტიაში, ერეკლე მეფეზე. კონკრეტული პიროვნება გამოდიოდა და იმას ვატანდით, – აცხადებს ის.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ სად გადასცემდა ბიძინა ივანიშვილს კრებსებს, სამხარაძე პასუხობს, რომ დოკუმენტები ხან მთაწმინდაზე მიჰქონდა, ხან მმართველი პარტიის ოფისში.

რაც შეეხება იმას, თუ რა სიხშირით მიჰქონდა კრებსები თანამდებობის პირებთან, სამხარაძე ამბობს, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო თვეში ერთხელ, ორჯერ ან სამჯერაც.

სახელმწიფო მოხელე ქრთამის აღებისთვის დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ ერთ-ერთი სატყეო უბნის თანამშრომელმა, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, პირადი უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მის სამოქმედო ტერიტორიიდან კაკლის ხის უნებართვოდ მოპოვებისა და მათი გატანის სანაცვლოდ, მოქალაქეს ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 1 000 ლარი, რა დროსაც მოხდა მისი დაკავება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

წყალტუბოში ავარიას ბიძაშვილები ემსხვერპლნენ

წყალტუბოში, სანატორიუმ „საქართველოს“ ყოფილ შენობასთან ავტოსაგზაო შემთხვევას ახალგაზრდა ბიჭების სიცოცხლე ემსხვერპლა. დაღუპულები ბიძაშვილები არიან.

გარდაცვლილები არიან 29 წლის გიორგი ედიბერიძე და 27 წლის გიორგი ედიბერიძე.

ვახტანგ გომელაური: „ბატონი ბიძინა გოგაშვილს ვერაფერს ვერ დაავალებდა, რადგან მას არ იცნობდა მაგ დროს“

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი კომენტარი მისი ყოფილი მეგობრის, სუს-ის ექსმაღალჩინოსნის, სოსო გოგაშვილის ბრალდებებზე – ვახტანგ გომელაურის მტკიცებით, გოგაშვილი ბიძინა ივანიშვილს საერთოდ არ იცნობს.

– განცხადება, რაც ბატონმა სოსო გოგაშვილმა გააკეთა, რა თქმა უნდა, სრული სიცრუე და აბსურდია. ბატონი ბიძინა მას ვერაფერს ვერ დაავალებდა, რადგან მას არ იცნობდა მაგ დროს. როგორ წარმოგიდგენიათ ახლა, მე ვიყავი ხელმძღვანელი მაგ დროს და რატომ დაავალებდა ადამიანს რამეს, რომელსაც არ იცნობდა, ან რა უნდა დაევალებინა. მეც არაფერს მავალებდა, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მისი თქმით, თუ გოგაშვილს მტკიცებულებები აქვს, საჯაროზე გამოიტანოს:

– კრებსებს ვუგზავნიდით ბატონ ბიძინას, პრემიერს და კობახიძესო. უკანონო მოსმენებზე საერთოდ გამორიცხეთ ეგ თემა. უკანონო მოსმენები არ ხორციელდება. თუ რამე მტკიცებულება აქვს, გამოიტანოს და დადოს. კანონიერად, რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა სამინისტროც უსმენს, – თქვა მან.

2022, 16 სექტემბერი, №183

დენის შმიგალი: „უახლოეს მომავალში უკრაინა მოკავშირეებისგან დამატებით 13.5 მილიარდ აშშ დოლარს მიიღებს“

უახლოეს მომავალში უკრაინა მოკავშირეებისგან დამატებით 13.5 მილიარდ აშშ დოლარს მიიღებს, – ამის შესახებ უკრაინის პრემიერ-მინისტრმა, დენის შმიგალმა Financial Times-თან საუბარში განაცხადა.

ინფორმაცია მთავრობის მეთაურის ოფიციალური „ტელეგრამ“ არხზე ვრცელდება.

– ფართომასშტაბიანი ომის დაწყებიდან უკრაინამ მოკავშირეებისგან 17.5 მილიარდი აშშ დოლარი მიიღო, რომლიდანაც ნახევარი – საგრანტო სახსრებია. უახლოეს მომავალში ველოდებით დამატებით 13.5 მილიარდი აშშ დოლარის მიღებას, – აღნიშნა შმიგალმა.

მისი თქმით, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ) განაცხადა უკრაინისთვის 1.4 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის დამატებითი ტრანშის გამოყოფაზე. ასევე არსებობს სსფ-სთან თანამშრომლობის გაგრძელების შეთანხმება მომავალ წელს ახალი სპეციალური პროგრამის დაწყებაზე.

– ევროპის საინვესტიციო ბანკმა დღეს მიიღო გადაწყვეტილება 500 მილიონი ევროს ოდენობის პირველი ტრანშის გამოყოფაზე. მთლიანობაში, დახმარების ოდენობა იქნება 1.59 მილიარდი ევრო. ჩვენ ველოდებით დამატებით 8 მილიარდ ევროს ოდენობის მაკროფინანსურ დახმარებას ევროკავშირისგან. დღეს ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა უკრაინისთვის 5 მილიარდი ევროს გამოყოფას. წლის ბოლომდე უკრაინისთვის დამატებითი 4.5 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის დახმარების გამოყოფა შეერთებულმა შტატებმაც გამოაცხადა, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ევროკავშირი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიესალმება

ევროკავშირი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიესალმება. ამის შესახებ ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა.

– ევროკავშირი მიესალმება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დადებულ შეთანხმებას, რომელიც ძალაში გუშინ, 20:00 საათზე შევიდა. ჩვენ მოხარული ვართ ადგილობრივი ცნობებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ჯერჯერობით დაცულია. ჩვენ მოვუწოდებთ მხარეებს, განაგრძონ მისი განხორციელება და კოორდინირება გაუწიონ ჰუმანიტარულ ნაბიჯებს, როგორიცაა სამხედროების ცხედრების გადაცემა, – ნათქვამია ევროკავშირის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გარდა ამისა, ევროკავშირი აცხადებს, რომ მისი სპეციალური წარმომადგენელი ტოივო კლაარი მაღალი დონის კონსულტაციებს ახორციელებდა გუშინ ბაქოში და დღეს კი ერევანში საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლისა და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბორელის მანდატით.

– ევროკავშირი კვლავაც მტკიცედ არის ჩართული სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ნორმალიზაციის პროცესში, მათ შორის უმაღლეს დონეზე ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მეშვეობით, – აღნიშნულია განცხადებაში.

ჩინეთი მზად არის, რუსეთთან ერთად, მსოფლიო მდგრადი განვითარების გზაზე დააყენოს



ჩინეთი მზადა არის, რუსეთთან ერთად, მსოფლიო მდგრადი განვითარების გზაზე დააყენოს, – ამის შესახებ ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან შეხვედრისას განაცხადა.

– ჩვენი დროის გლობალური მასშტაბის კოლოსალური ცვლილებების ფონზე, რომელიც უპრეცედენტოა ჩვენი დროის ისტორიაში, მზად ვართ, რუს კოლეგებთან ერთად, მივცეთ მაგალითი და ვითამაშოთ წამყვანი როლი, რომ ასეთი სწრაფად ცვალებადი მსოფლიო მდგრადი და პოზიტიური განვითარების ტრაექტორიაზე გავიყვანოთ, – განაცხადა ჩინეთის ლიდერმა.

მანვე გამოთქვა მზადყოფნა, პუტინთან აზრები გაცვალოს საერთაშორისო დღის წესრიგსა და ორმხრივი ინტერესის საკითხებზე.

რუსეთის პრეზიდენტმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ მოსკოვსა და პეკინს შორის საგარეო პოლიტიკური ტანდემი გადამწყვეტ როლს თამაშობს გლობალური და რეგიონული სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

– ჩვენ ერთობლივად ვემხრობით სამართლიანი, დემოკრატიული და მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებას, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო კანონმდებლობასა და გაეროს ცენტრალურ როლზე და არა ზოგიერთი წესზე, რომელიც ვიღაცამ მოიფიქრა და ცდილობს მოახვიოს სხვებს, ახსნის გარეშე, თუ რა არის ეს, – განაცხადა პუტინმა.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნიპოლარული სამყაროს შექმნის მცდელობებმა ახლახან შეიძინა „აბსოლუტურად მახინჯი ფორმა“ და სრულიად მიუღებელია ქვეყნების უმეტესობისთვის.

გარდა ამისა, რუსეთის ლიდერმა შეაქო „პეკინის დაბალანსებული პოზიცია უკრაინის კრიზისთან“ დაკავშირებით.

პუტინისა და სი ძინპინის შეხვედრა სამარყანდში, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტის ფარგლებში მიმდინარეობს. განხილულ მთავარ თემებს შორისაა ორგანიზაციის პოტენციალის გაძლიერება უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის სფეროში, ეკონომიკური კავშირების გაძლიერება, სატრანსპორტო ურთიერთკავშირის განვითარება და ორგანიზაციის კულტურული და ჰუმანიტარული განზომილების გაძლიერება.

ხარკოვში ოკუპანტებს ხუთი ბავშვი სარდაფში ერთი კვირის განმავლობაში ჰყავდათ ჩაკეტილი

ხარკოვის ოლქში ხუთი მოზარდი გაათავისუფლეს, რომლებიც რუს ოკუპანტებს სარდაფში ერთი კვირის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებული, – ინფორმაციას უკრაინული მედია სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.

მათივე ცნობით, ბავშვები სარდაფში „ფილტრაციის ზომების“ მიღების შემდეგ გამოკეტეს.

– როგორც გაირკვა, ოთხი გოგონა და ერთი ბიჭი 7 დღე სარდაფში იმყოფებოდნენ. მათი თქმით, ოკუპანტებმა „ფილტრაციის ზომების“ განხორციელების შემდეგ სარდაფში ჩაკეტეს, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ცნობისათვის, პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ 15 სექტემბრის დილის მონაცემებით, უკრაინელებმა ოკუპაციისგან ხარკოვის ოლქის 400 დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს.

კიევში ვოლოდიმირ ზელენსკის ესკორტი ავტოავარიაში მოყვა

კიევში ვოლოდიმირ ზელენსკის ესკორტი ავტოავარიაში მოყვა. უკრაინის პრეზიდენტის ესკორტი ავტოავარიაში მოჰყვა. ირკვევა, რომ სამთავრობო კოლონას, რომლითაც ვოლოდიმირ ზელენსკი გადაადგილდებოდა, მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა. საბედნიეროდ ავტოავარიას დაშავებული და მსხვერპლი არ ჰყავს. ინფორმაციას პრეზიდენტის პრესმდივანი სერგეი ნიკიფოროვი ადასტურებს.

– კიევში მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა პრეზიდენტის ავტომობილსა და ესკორტის სხვა ტრანსპორტს. მედიკოსებმა, რომლებიც ესკორტს თან ახლდნენ, ავტომობილის მძღოლს პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზევე გაუწიეს.

პრეზიდენტი გასინჯა მისმა პირადმა ექიმმა. საბედნიეროდ, რაიმე სახის დაზიანება არ აღმოჩნდა.

სამართალდამცველები მომხდარს სწავლობენ – განაცხადა ნიკიფოროვმა.

პუტინს თავს დაესხნენ

„დეილი მეილი“ წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ ვლადიმერ პუტინის ლიმუზინზე, სავარაუდოდ, თავდასხმა განხორციელდა.

გამოცემის ცნობით, რუსეთის პრეზიდენტი შემთხვევის შედეგად არ დაზიანებულა, თუმცა მისი დაცვის წევრების ნაწილი დაკავებულია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

საქართველოს თასის სენსაციები

გაიმართა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები. შემდეგ ეტაპზე ეროვნული ლიგის ოთხი გუნდი გავიდა, ხოლო დანარჩენი ოთხეული მეორე ლიგის სამმა და ერთმა მესამელიგელმა შეავსეს.

დინამო (ბთ)-დინამო (თბ) 0:0 (0:3ჯ)

ბათუმი. აჭარაბეთ არენა

პენალტების სერია: 0:1 ტაბიძე, 0:1 მაგუჩაშვილი (მეკარე), 0:2 კამარა, 0:2 ფალავანდიშვილი (მეკარე), 0:2 იმრანი (აციცილა), 0:2 ჩაბრაძე (მეკარე), 0:3 მოისწრაფიშვილი

მერვედფინალური ეტაპის წილისყრის შემდეგ ბათუმისა და თბილისის დინამოების მატჩი ამ ეტაპის ცენტრალურ შეხვედრად მოინათლა.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი და დამატებითი დრო გოლების გარეშე დასრულდა, თამაში მაინც საინტერესო და დაძაბული გამოდგა, მომენტები ორივე კართან იქმნებოდა, მაგრამ მეოთხედფინალში გამსვლელის ვინაობა მაინც პენალტების სერიამ გადაწყვიტა.

იქ კი გმირად თბილისელთა ახალგაზრდა მეკარე ლუკა კუტალაძე მოგვევლინა, რომელმაც სამი პენალტი მოიგერია და გუნდი მეოთხედფინალში გაიყვანა.

სპაეი-ტოჰპედო 0:1

თბილისი. სპაერი

0:1 ძიმაძე (24)

ამ მატჩში ფავორიტად ქუთაისური გუნდი მიიჩნეოდა და კახა ჩხეტიანის შეგირდებმა ეს სტატუსი გაამართლეს. რიონისპირელებმა გიორგი ქიმაძის ერთადერთი გოლით იმარჯვეს და შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

მეხანი (მ)-საბუსთაღო 2:3 (დდ)

მარტვილი. მურთაზ ხურცილავა

0:1 ტაბატაძე (4), 1:1 სილა (6), 2:1 წულაია (17), 2:2 სიხარულიძე (68), 2:3 ლ.ნონიკაშვილი (100)

დაძაბული გამოდგა ეროვნული და მეორელიგელი გუნდების მატჩი. საბურთალოელებმა ბოლოსკენ გადაწყვიტეს მატჩის ბედი, ხოლო დამატებით დროში სულაც იმარჯვეს.

საბურთალო იური ტაბატაძის გოლით დაწინაურდა, მაგრამ მე-17 წუთისთვის წინ უკვე მერანი იყო. გოლები შეიკნე სილამ და დათა წულაიამ გაიტანეს. თუმცა, მერანმა ბოლომდე ვეღარ „გაჯანა“ – 68-ე წუთზე ირაკლი სიხარულიძემ გაათანაბრა, ხოლო დამატებით დროში ლევან ნონიკაშვილმა საბურთალოს მეოთხედფინალის საგზური მოუტანა.

შუქეხა-ლოკომოტივი 2:0

ფოთი. ტექნიკური ცენტრი

1:0 ჩაკვეტაძე (42), 2:0 ბაშელეიშვილი (56)

მეორე ლიგის ლიდერმა ქობულეთის შუქურამ ფოთში უმასპინძლა ეროვნული ლიგის აუტსაიდერ ლოკომოტივს და 2:0 მოუგო.

ფოთელებმა ალიკო ჩაკვეტაძისა და ნიკოლოზ ბაშალეიშვილის გოლებით იმარჯვეს.

ლოკომოტივი 2-თელავი 1:1 (4:2ჯ)

საგურამო. ლოკო-საგურამო

1:0 ხინჩიაშვილი (46), 1:1 კვერნაძე (66)

პენალტების სერია: 0:1 მუჯირი, 1:1 მელიქიშვილი, 1:1 ქოჩლაძე (მეკარე), 2:1 ხინჩიაშვილი, 2:2 ჯიქია, 3:2 ანდრონიკაშვილი, 3:2 ბაჩიაშვილი (მეკარე), 4:2 ოზბეთელაშვილი

სამაგიეროდ, მეოთხედფინალში გავიდა ლოკომოტივის მე-2 გუნდი, რომელმაც ზედიზედ მეორე უმაღლესლიგელი დაიფრინა. სამგურალის შემდეგ პატარა ლოკომოტიველებმა თელავს პენალტების სერიაში აჯობეს.

ძირითადი და დამატებითი დრო 1:1 დასრულდა. მასპინძელი ხინჩიაშვილის გოლს კვერნაძემ უპასუხა. პენალტების სერიაში კი, ჩინებულად გაისარჯა ლოკოს მეკარე სოსო კოპალიანი, რომელმაც 11 მეტრიდან ორი ბურთი მოიგერია.

ზანა-გუჩია 1:4

აბაშა. მევლუდ მიმინოშვილი

0:1 ალადაშვილი (18), 0:2 სულაძე (45), 0:3 ჩხაიძე (76), 1:3 ვირუბოვი (83სკ), 1:4 ახალაია (90)

მესამელიგელმა გურიამ რანგით კიდევ უფრო დაბლა მყოფ აბაშის ზანას სტუმრად იოლად, 4:1 მოუგო.

მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველ ტაიმში გადაწყდა – ალადაშვილმა და სულაძემ სტუმრები სოლიდურად დააწინაურეს. მეორე ტაიმში ჩხაიძემ კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა. მასპინძლებს ვერც ვირუბოვის ავტოგოლმა უშველა – ახალაიამ საბოლოო წერტილი დასვა.

ვახტეთიღი-ხუსთავი 2:3

თბილისი. მარაკანა

0:1 თომაშვილი (2), 1:1 გოლუბიანი (28), 1:2 ძეცბაია (39), 1:3 სიჭინავა (41), 2:3 ნარიმანიძე (64)

საინტერესო გამოდგა მესამე და მეორელიგელების მატჩი და საბოლოოდ, უფრო მაღლა მდგომმა გუნდმა იმარჯვა.

რუსთაველებმა პირველი ტაიმი 3:1 მოიგეს და თითქოს მატჩის ბედი გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ 64-ე წუთზე ნარიმანიძემ სხვაობა შეამცირა და თამაშს ინტრიგა დაუტოვა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო.

დინამო 2 (თბ)-დილა 1:4

თბილისი. ზესტაფონის ზღვის ბაზა

0:1 ჯანგბიძე (9სკ), 0:2, 0:3 გეილი (10, 66), 0:4 მალინგა (81), 1:4 ერაძე (83ჯ)

ამ ჯახში უმაღლესლიგელმა მარტივად იმარჯვა. უკვე მე-10 წუთზე დილა ორი ბურთით იგებდა. გორელებმა ორიც მეორე ტაიმში წაამატეს, ხოლო ერაძემ პრესტიჟის ბურთის გატანაღა მოახერხა.

შედეგები

14 სექტემბერი
ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

მილანი-დინამო (ზ)	3:1
ჩელსი-ზალცბურგი	1:1
შახტარი-სელტიკი	1:1
რეალი-ლაიფციგი	2:0
კოპენჰაგენი-სევილია	0:0
სიტი-დორტმუნდი	2:1
იუვენტუსი-ბენფიკა	1:2
მაკაბი-პსჟ	1:3
რეინჯერსი-ნაპოლი	0:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ევროკავშირი რუსეთის 1.206 მოქალაქისა და 108 იურიდიული პირისთვის სანქციებს ნახევარი წლით ახანგრძლივებს

ევროკავშირი უკრაინაში შეჭრისთვის პასუხისმგებელი რუსეთის 1.206 მოქალაქისა და 108 იურიდიული პირისთვის სანქციებს ნახევარი წლით ახანგრძლივებს, – ამის შესახებ ინფორმაციას ევროკავშირის საბჭო ავრცელებს.

– საბჭომ დღეს მიიღო გადაწყვეტილება, დამატებით ექვსი თვით, 2023 წლის 15 მარტამდე, გაახანგრძლივოს შემაკავებელი ზომების ხანგრძლივობა მათთვის, ვინც პასუხს აგებს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შელახვისა ან საფრთხის შექმნისთვის, – წერია ევროკავშირის საბჭოს განცხადებაში.

არსებული შემაკავებელი ზომები ითვალისწინებს სამოგზაურო შეზღუდვებს ფიზიკური პირებისთვის, აქტივების გაყინვას და ფონდებსა ან სხვა ეკონომიკური რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას.

– ევროკავშირი მტკიცედ გმობს რუსეთის განურჩეველ თავდასხმებს მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ და მოუწოდებს რუსეთს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაიყვანოს ყველა ჯარისკაცი და სამხედრო ტექნიკა უკრაინის მთელი ტერიტორიიდან მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი დაცული უნდა იყოს. რუსეთი, ბელარუსი და ყველა, ვინც პასუხისმგებელია ომის დანაშაულებზე, პასუხს აგებს თავიანთ ქმედებებზე საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, – წერია განცხადებაში.

ვილი სანიოლი: „მახარებს გუნდის პროგრესი და კონკურენცია“

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს უეფას ერთა ლიგის ც დივიზიონის მეოთხე ჯგუფში ორი მატჩი დარჩა. სანიოლის გუნდი 23 სექტემბერს თბილისში, დინამო არენაზე, ჩრდილოეთ მაკედონიას უმასპინძლებს, 26-ში კი სტუმრად, გიბრალტარს ეთამაშება.

ფრანგმა სპეციალისტმა პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

ვილი სანიოლი:

– ჩრდილოეთ მაკედონია ჯგუფში მთავარი მეტოქეა. ვერ გეტყვით, მათთან ქულით კმაყოფილი თუ ვიქნები. მთავარია, რომ ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავოთ. მაკედონიაში 3:0 კი მოვიგეთ, მაგრამ პირველ ტაიმში გარკვეული პრობლემები გვქონდა და ეს შეცდომები უნდა გამოვასწოროთ.

ბოლო პერიოდში ჟორჟ მიქაუტაძემ და ლუკა ლოჩოშვილმა კარგი მატჩები ჩაატარეს. მაგალითად, ჟორჟს, გასულ წელს, კოსოვოსა და საბერძნეთთან პრობლემები ჰქონდა. ლოჩოშვილს აშკარა პროგრესი აქვს. ჩემთვის ახლა გადაწყვეტილების მიღება რთულია. დაცვაში უფრო მეტი ვარიანტი გაჩნდა და კონკურენცია ძალიან კარგია. ბედნიერი ვარ, რადგანაც დაცვის ცენტრში ბევრი ფეხბურთელი გვყავს. ნახევარდაცვაში გარკვეული პრობლემებია. კიტეიშვილი და გვილია ტრავმირებულები არიან. რაც შეეხება შემტევ ხაზს: აქ არის ბუდუ ზივზივაძე, მიქაუტაძე და გიორგი ქვილითაია. შეტევაში ბევრი ფეხბურთელი გვყავს, ერთი წლის წინ ასეთი სიტუაცია არ იყო.

ასევე ბედნიერი ვარ, რომ ორი ძალიან მაგარი მეკარე მყავს – მამარდაშვილი და ლორია. ორივე კარგად თამაშობს. თუმცა, რაღაცები ყოველთვის იცვლება, ზოგი ასაკშია და მერე, შესაძლოა, ამან პრობლემა შეგვიქმნას. მაღალი დონის ფეხბურთში ასე ხდება. დიდი კონკურენცია მახარებს, მაგრამ ვინ ითამაშებს, ამას ჯერ ვერ ვიტყვი. ნაკრებში რამდენიმე ფეხბურთელი გვყავს, რომლებიც რამდენიმე წელიწადში ვეღარ დაგვეხმარებიან, მაგრამ ამ მომენტისთვის ყველაფერი კარგადაა და მაქსიმალურად უნდა ვისიამოვნოთ ამ პერიოდით.

მეკარეებზე დავამატებ, რომ კუპატაძე ახლა უგუნდოდაა. ამჯერად მის ნაცვლად შოვნაძე გამოვიძახე. ლაზარეს სამომავლოდ აუცილებლად გავითვალისწინებ. კერესელიძეს გამოძახებასაც ვაპირებდი, ტრავმა რომ არ მიეღო.

ახლა პლეი ოფზე ფიქრი ძალიან რთულია. ფეხბურთელებს ვეუბნები, რომ არ იფიქრონ მომავალზე. ჯერ დღევანდელ დღეზე იფიქრონ. წინ მაკედონიასთან და გიბრალტართან მატჩებია.

მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებელ ციკლს რაც შეეხება, იქ ყველა მეტოქე რეიტინგში ჩვენზე მაღლა იყო. მართალია, ცუდი შედეგები გვქონდა, მაგრამ იყო გარკვეული პროგრესიც. ერთა ლიგის მატჩებში ეს პროგრესი უკვე შესამჩნევია. ახლა ჩემი სისტემის უკეთ ესმით. სამი ცენტრალური მცველით ვთამაშობთ და ნაკრები ამ სისტემას კარგად მოერგო. დინამიკა ყოველთვის იცვლება, მაგრამ ჩემი მთავარი ამოცანაა ამ დინამიკისა და კარგი განწყობის შენარჩუნება.

ლუკა გაგნიძეს რაც შეეხება, მისი თამაში ბოლო კვირების განმავლობაში კარგია. ბევრს თამაშობს და მუდმივად. ის ფაქტი, რომ რუსეთში თამაშობს, ნიშნავს იმას, რომ ეს მისთვის კარგი ნამდვილად არაა. თუმცა, ეს ბინის შეცვლა არაა – კარგი ქვეყანა და გუნდი უნდა იპოვოს. ამაში ფედერაციაც დაეხმარება.

გიორგი ჩაკვეტაძე სლოვანში რეგულარულად თამაშობს და ვლადიმირ ვაისს ამისთვის მადლობას ვუხდი. ვიცით მისი შესაძლებლობები და იმედი მაქვს, რომ ის ისევ ნაკრების საკვანძო მოთამაშე იქნება. სლოვანში მას ჯაბა და გურამი ჰყავს – სამაგალითო ხალხი და მათ რჩევებს აუცილებლად უნდა მოუსმინოს.

ხვიჩაზე ბევრს არაფერს ვიტყვი, ეს აჟიოტაჟიც გასაგებია. ყოველდღე ჩემ შვილსაც არ ვეტყოდი, რომ ის საუკეთესოა. მასთან დაკავშირებით გარკვეული ბალანსი უნდა დავიცვათ. კვარას პროგრესი მიხარია, მაგრამ ჯერ მაქსიმუმისთვის არ მიუღწევია და მას ყველა ერთად უნდა დავეხმაროთ მაქსიმუმის მიღწევაში.

სპალეტის კრიტიკაზე ვეთანხმები. ხვიჩა ისეთი ფეხბურთელია, რომელსაც მოედანზე უფრო მეტი თავისუფლება უნდა მისცე. ბულგარეთთან 0:0-ის შემდეგ ვუთხარი, რომ ყოველთვის მარტო ვერ მოიგებს. თუმცა, ჯერ კიდევ 21 წლისაა, ბევრს შრომობს და მიზანს მიაღწევს. სპალეტის სიტყვები კი იმას ემსახურება, რომ კვარა მომავალში უფრო კარგი იყოს.

ზურიკო დავითაშვილის ბორდოში ტრანსფერზე გარკვეულ ადამიანებს ვესაუბრე, მაგრამ ეს ზურიკოს გადაწყვეტილება იყო. ბორდო ლიგა 2-შია, მაგრამ ზურიკოს მთავარი მიზანი ბორდოში თავის დამკვიდრება უნდა იყოს. ის ლიგა 1-ში აღზევების შემდეგ უნდა ეცადოს, რომ ბოლომდე დაიხარჯოს, რათა კარგი კარიერა აიწყოს.

ევრობასკეტზე მეორე ნახევარფინალური წყვილიც გაირკვა

ევრობასკეტ 2022-ის მესამე ნახევარფინალისტი საფრანგეთის ნაკრებია, რომელმაც ფლეი ოფში უკვე მეორე ოვერტაიმი ითამაშა. ვინსენ კოლეს შეგირდებმა მერვედფინალში თურქეთს 87:86 სძლიეს, მეთხუთმეტფინალში კი იტალია დაამარცხეს – 93:85.

პირველ მეოთხედში ფრანგები 29:20 დაწინაურდნენ, მეორე ათწუთეული კი, ქულმწირი გამოდგა და 11:11 დასრულდა. შედეგად ფრანგები დიდი შესვენებისთვის ისევ 9 ქულას იგებდნენ.

შესვენების შემდეგ უკეთ იტალია თამაშადა და მოგებასთანაც ახლოს იყო. აპენინელებმა ათწუთეული 31:18 მოიგეს და ბოლო მეოთხედში 8 ქულითაც წინ გავიდნენ, მაგრამ საფრანგეთმა სხვაობა შეამცირა. იტალიელმა ფონტეკიომ ბოლო წამებზე ორი საჯარიმო ააცილა, ერტელის ზუსტი შესვლის შემდეგ, ტაბლოზე ანგარიში 77:77 დაფიქსირდა (5 წამით ადრე) და გუნდებს ოვერტაიმის ჩატარება მოუწიათ.

დამატებით ხუთწუთეულში ფრანგების ვარსკვლავი რუდი გობერი გაბატონდა, რომელმაც საბოლოოდ 19 ქულა და 14 მოხსნა დააგროვა, სამფეროვნებმა კი 93:85 იმარჯვეს და ნახევარფინალში ითამაშებენ.

მეორე მეოთხედფინალში კი, დიდი სენსაცია მოხდა. პოლონეთის ნაკრებმა აშკარა ფავორიტად შერაცხული სლოვენია 90:87 დაამარცხა და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

პოლონელებმა თამაში მძლავრად დაიწყეს და მათმა უპირატესობამ 23 ქულასაც მიაღწია, მაგრამ ტაიმი 58:39 მოიგეს.

შესვენების შემდეგ მოედანზე სხვა სლოვენია ვიხილეთ. ლუკა დონჩიჩმა და მისმა თანაგუნდელებმა პოლონელებს შანსი არაფრის დაუტოვეს და მხოლოდ 6 ქულა ჩააგდებინეს, თავად კი 24 მიითვალეს და ბოლო მეოთხედის წინ მხოლოდ ქულას აგებდნენ.

მეტიც, დასკვნით 10-წუთეულში სლოვენია 5 ქულითაც დაწინაურდა და ყველამ იფიქრა, რომ საქმე კალაპოტში ჩადგა, მაგრამ...

პოლონეთმა დასკვნითი ნაწილი ისევ მძლავრად ჩაატარა საქმე სენსაციურ გამარჯვებამდე მიიყვანა.

პოლონეთის ნაკრებს მატეუშ პონიტკამ ულიდერა, ვინაც სამმაგი დუბლი მიითვალა – 26 ქულა, 16 მოხსნა და 10 პასი.

მოკლედ, ნახევარფინალში არც ნბა-ს მვპ ნიკოლა იოკიჩი (დენვერი) იქნება, არც იანის ანტეტოკუნმპო (მილუოკი) და არც ლუკა დონჩიჩი (დალასი).

პოლონეთთან მარცხის შემდეგ სლოვენიელთა სუპერვარსკვლავმა აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, მაგრამ დონჩიჩს თავის მართლება არ უცდია:

– დღეს საშინლად ვითამაშე. ჩემს გუნდსაც ვუღალატე და მთელ ქვეყანასაც.

შედეგად, ყველა ნახევარფინალისტის ვინაობა ცნობილია. 16 სექტემბერს მასპინძელი გერმანია ესპანეთს ეთამაშება, ხოლო პოლონეთი საფრანგეთს დაუპირისპირდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სპალეტიმ კვარაცხელია გააკრიტიკა

ა ჯგუფი

ხეინჯესი-ნაპოლი 0:3

გლაზგო. აიბროქსი

0:1 პოლიტანო (68ჯ), 0:2 რასპადორი (85), 0:3 ნდომგელე (90)

ბრიტანეთის დედოფლის გარდაცვალების გამო წინა დღიდან გადატანილი მატჩი ხვიჩა კვარაცხელიამ და ნაპოლიმ მარტივად მოიგეს.



რაც შეეხება ჩვენებურს, კარგი საღამო ჰქონდა. ამაღელვებელი მოქმედებებით მეტოქეს აიძულებდა, მის წინააღმდეგ გაორმაგებულად ეთამაშათ. როდესაც დრიბლინგს იწყებდა, რეინჯერსს ძალიან აწუხებდა. მისი მომენტის დამსახურებაა პოლიტანოს პენალტი. როცა ბურთი ფეხებში ჰქონდა, ყოველთვის საშიში იყო, აჩქარებებით კი, ტავერნიეს პრობლემები შეუქმნა. რამდენიმე დარტყმა ძელს ოდნავ ასცდა. სხვათა შორის, ხვიჩამ ლიგის რეკორდი დაამყარა – ერთ მატჩში 8-ჯერ დაარტყა კარისკენ.

პრესკონფერენციაზე **ლუჩანო სპალეტიმ** კვარაცხელიაზე კრიტიკულად ისაუბრა:

– თქვენ ამბობთ, რომ ძლიერია, ძლიერია, ძლიერია, მერე მეკარესთან ორ მეტრში კარში ურტყამს, როცა გვერდით თავისუფალი თანაგუნდელიც ჰყავს. რატომ? იმიტომ, რომ ეუბნებით, რომ ყოჩაღია, გოლი უნდა გაიტანოს. ასე არ არის! სწორი არჩევანის გაკეთების ცოდნა საჭიროა. ნდომბელეს გოლი ვისი დამსახურებაა? ანგისას დამსახურებაა და ეს უნდა აღინიშნოს. რა თქმა უნდა, მას დღესაც 2-3 ძალიან მაგარი ეპიზოდი ჰქონდა და თამაშის წესი რომ არ დაერღვიათ, კარამდე მივიდოდა. ძალიან მაგარი ფეხბურთელია, მაგრამ არჩევანის გაკეთება უნდა იცოდეს და დაცვით ფაზაშიც ითამაშოს. ნახეთ, პოლიტანომ 2-3-ჯერ 70 მეტრი ირბინა დაცვის დასახმარებლად და გარდა ამისა, პენალტი რთულ მომენტში დაარტყა. ეს არ იყო ჩვეულებრივი პენალტი იმის გათვალისწინებით, რაც მანამდე მოხდა. ეს სუპერპენალტი იყო, რომელიც ძალიან კარგად დაარტყა. პოლიტანომ საოცარი თამაში ჩაატარა, მხოლოდ იმიტომ შევცვალე, რომ ყვითელი ბარათი ჰქონდა. ასეთ მატჩში, როცა იგებ, არ შეიძლება მოედანზე დატოვო ფეხბურთელი ყვითელი ბარათით.

გუნდისთვის ყველა ფეხბურთელი მნიშვნელოვანია, თამაშს ერთი ფეხბურთელი არ იგებს. ეს თქვენთვის იგებს ერთი მოთამაშე, ჩვენთვის – არა. გუნდში ყველა ფეხბურთელი საჭიროა. თუ კიმი და რაჰმანი ვერ მოიგებენ საჰაერო დუელებს, ლობოტკა და ანგისა ნახევარდაცვაში ბურთს ვერ გაათამაშებენ, კვარაცხელია თამაშში ბურთს ორჯერ შეეხება. ამიტომ, სხვების მუშაობაც გასათვალისწინებელია. რასაკვირველია, აქვს საოცარი ხარისხი, ტექნიკა, რაც ქმნის თამაშში განსხვავებას, მაგრამ ყველა მნიშვნელოვანია და ერთი ადამიანი თამაშს მარტო ვერ იგებს.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 2. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 3. საწვრთნელი ორთბრძოლა კრივში; 4. საკონცენტრაციო ბანაკი პოლონეთში, ფაშისტური ოკუპაციის დროს; 5. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 6. ფირმის, ორგანიზაციის ქონების ფინანსური მდგომარეობის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 8. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 11. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 14. დამკაბადონებელი ოსტატი სტამბაში; 15. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 16. ქალის არაძვირფასი სამკაულები; 17. სათბურებში გამოყენილი მცენარის ნერგი; 19. რბილი ხაოს მქონე აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი; 21. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 22. მინერალური წყალი იმერეთში.

თარაზულად: 1. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 5. გადასახადი მიწის სარგებლობისათვის ძველად საქართველოში; 7. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 9. ქართველი მგოსანი; 10. საქონელზე, პროდუქციაზე ფასის დაკლება უხარისხობის გამო; 12. ქალაქ დონეცკის ძველი სახელწოდება; 13. დიდი წარმატება, გამარჯვება; 16. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 17. გამხმარი ხილი; 18. სოხუმის ძველი სახელწოდება; 20. ლითონზე ან ქვაზე შესრულებული ნახატი; 22. რამდენიმე ქვემეხის ან თოფის ერთდროულად გასროლა; 23. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 24. ვირტუოზული პასაჯი სიმღერაში; 25. არათვითმავალი სამდინარო გემი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მაესტრო; 2. ჰიპოთეზა; 3. კარტიე; 4. გუამი; 5. ქოლერიკი; 8. სავოიარი; 12. დანი; 13. ჰონოლულუ; 14. ქსენძი; 16. ტაპიორი; 18. კოლიო; 20. ოქმი.

თარაზულად: 6. მარიფათი; 7. წყალტუბო; 8. სუდოკუ; 9. სტელა; 10. ფედერერი; 11. შვიდეული; 15. ზომერჰოისი; 17. ქიმერა; 19. ძალაყინი; 21. მურტალო; 22. გუბაზოული; 23. ყინვალი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. იღუმენია; 3. რეაქტორი; 4. აკვარიუმი; 5. წალკა; 6. იარუსი; 8. სტენდი; 11. მარაბდა; 14. ოფთალმოლოგი; 15. ჟანგბადი; 16. კორონაცია; 17. პილონი; 19. სინათლე; 21. განდი; 22. ბზობა.

თარაზულად: 1. გიორგობა; 5. წავი; 7. ბესონი; 9. ზურაბიშვილი; 10. რამზესი; 12. ესტრადა; 13. ქლუხორი; 16. კადილაკი; 17. პაბი; 18. ისტრი; 20. სიმენონი; 22. ბრაგა; 23. პალანგა; 24. ციროზი; 25. დინგო.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8301

ევრო — 2.8230

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2532

100 რუსული რუბლი — 4.7243

ამინდის პროგნოზი 16 სექტემბრისთვის

მესი: „ვფიქრობ, რომ კარგ ფორმაში ვარ“

პსჟ-მ სტუმრად მაკაბი დაამარცხა 3:1 და პსჟ-ს პირველი გოლი ლიონელ მესიმ გაიტანა, რომელსაც ძალიან კარგი შეხვედრა ჰქონდა და მან საგოლე პასის გაკეთებაც მოახერხა. მატჩის შემდეგ მესიმ განაცხადა, რომ ის ძალიან კარგ ფორმაშია: „ჰაიფამ მატჩი კარგად დაიწყო, მაგრამ ჩვენ შევძელით უპირატესობის მოპოვება და მიხარია, რომ გოლი გავიტანე. ვფიქრობ, რომ პსჟ-ს დიდი პოტენციალი აქვს“.

ერლინ ჰოლანდი: „მინდა, რომ სიტისთან ერთად ისტორია დავწერო“

მანჩესტერ სიტის ფორვარდმა ერლინ ჰოლანდმა დორტმუნდის ბორუსიას გაუტანა და თავის გუნდს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოაპოვებინა. მატჩის შემდეგ ჰოლანდმა განაცხადა, რომ მას სიამოვნებს გოლების გატანა, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი გუნდის გამარჯვებაა: „მინდა, რომ გამარჯვება ყველა გულშემატკივარს მივუძღვნა, რომლებიც მუდმივად ჩვენს გვერდით არიან. ლამაზი გოლი გამომივიდა და მინდა, რომ ასე გავაგრძელო, რადგან ვიცი, რომ ჩემზე ბევრი რამ არის დამოკიდებული“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მამაკაცმა 50 წლის განმავლობაში 32 ათასი ცალი ერთი სახეობის ჰამბურგერი შეჭამა

ამერიკის ვაშინგტონის შტატის ქალაქ ფონ-დიუ-ლაკის მკვიდრმა დონ გორსკემ 50 წლის განმავლობაში დაახლოებით 32 ათასი ცალი ჰამბურგერი „ბიგ მაკი“ შეჭამა.

მამაკაცს ჭკუა გადაეკეტა „ბიგ მაკზე“, როდესაც ის 1972 წელს „მაკდონალდსში“ პირველად გასინჯა. გორსკეს თქმით, მას ისე მოეწონა სადილად შეკვეთილი „ბიგ მაკი“, რომ იმავე დღეს კიდევ რამდენჯერმე შეუკვეთა. მან ამ კერძს „მსოფლიოში საუკეთესო სენდვიჩი“ უწოდა და მაშინვე მიხვდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე მხოლოდ მას შეჭამდა.

ამერიკელი დღემდე ინახავს თავისი საყვარელი ჰამბურგერის ყველა ქვითარსა და კოლოფს, რათა მათი ზუსტი აღრიცხვა მოახდინოს. ამჟამად ის დღეში ორ-სამ საყვარელ ჰამბურგერს მიირთმევს, საკუთარ დაბადების დღეებზე ტორტის მაგივრად „ბიგ მაკს“ რთავს სანთლებით და სხვა დღესასწაულებზეც მხოლოდ ამ ჰამბურგერებს მიირთმევს.

გორსკეს იმდენად შეუყვარდა „მაკდონალდსი“, რომ თავის მეუღლე მერის ხელი სწორედ იქ სთხოვა. მიუხედავად ასეთი კვებისა, მამაკაცი თავს სრულიად ჯანმრთელად გრძნობს და ამას ცხოვრების აქტიური სტილით ხსნის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

16 სექტემბრისთვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი კონტაქტი თქვენთვის სასიკეთოდ დამთავრდება. საღამოს ახლო მეგობართან ურთიერთობა გაგიმწვავდებათ. **კურო** – მშვიდი დღეა. სულიერ წონასწორობას ვერაფერი დაგირღვევთ. გარშემომყოფები თქვენთვის კეთილ სიტყვას არ დაიშურებენ. **ტყუპები** – სუფთა ჰაერზე აქტიური დასვენება, ფიზიკური ვარჯიში გარგებთ. ახლობლებს მეტი სინაზით მოეპყარით. **კირჩხიბი** – გრძნობებსა და ქმედებებს შორის ბალანსი აღდგება. უარყოფითი ემოციებისაგან მშვენიერებასთან შეხება გაგათავისუფლებთ. **ლომი** – გაერთეთ, დაისვენეთ, შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდით. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **ქალწული** – საოჯახო საქმეები მოაგვარეთ. კარგი პერიოდია რემონტის დასაწყებად. **სასწორი** – ენერგიის აღდგენა გჭირდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. **ღრიანკალი** – ბევრ საქმეს ერთად ნუ შეეჭიდებით. ყურადღება მთავარზე გადაიტანეთ. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში წარმატება გელით. იზრდება სასიცოცხლო და სექსუალური პოტენციალი. **თხის რქა** – საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა. ნავაჭრით ძალზე კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** – პროვოკაციებს არ წამოეგოთ. ფრთხილად იყავით საქმიანი ურთიერთობებისას. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყარო გამოგიჩნდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ბავშვი მამას ეუბნება:

– მამიკო, ცირკში წამიყვანე.

– დრო არ მაქვს, შვილო, დრო.

– ბავშვები კი ამბობენ, რომ იქ თურმე შიშველი დეიდა ვეფხვზე ამხედრებული გამოდის!

– ვეფხვზე ამხედრებული? ჰოო... კარგი, წავიდეთ, დიდი ხანია, ვეფხვი არ მინახავს.

●●●

მოსამართლე ბრალდებულს ეუბნება:

– ამრიგად, თქვენ ბრალად გედებათ თაღლითობა, ახალგაზრდობის ელექსირს ყიდდით. ადრეც ყოფილხართ ნასამართლევი?

– დიახ, 1650, 1730 და 1890 წლებში.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– მე არ ვსვამ, წყლული მაქვს.

– თქვენი კარგად მესმის, მეც ცოლიანი ვარ.

●●●

ორი კვირით მშობლებთან სტუმრად ყოფნის შემდეგ სახლში დაბრუნებული დედა შვილს ეკითხება:

– ჩემს არყოფნაში მამიკო მოწყენილი იყო?

– თავიდან არა, მაგრამ ბოლო ორ დღეს სულ უფრო დამწუხრებული გამომეტყველება ჰქონდა.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– სახლში სამზარეულოს გარემონტება გვინდა, მაგრამ ვერაფრით დავიწყეთ...

– რატომ?

– რა ფერის კაფელი ან მეტლახიც არ უნდა ავირჩიო, ქმარი ყველაფერზე მეთანხმება.

●●●

რუსს ეკითხებიან:

– გიყვართ თქვენი ქვეყნის პრეზიდენტი?

– დიახ, საკუთარი მშობლებივით.

– რატომ?

– ჩვენ პრეზიდენტს, ისევე, როგორც მშობლებს, ვერ აირჩევ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მარო მაყაშვილზე დადგმული სპექტაკლი ბათუმის თეატრში გათამაშდება

რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის თეატრში ეროვნულ გმირ მარო მაყაშვილზე სპექტაკლი დადგა. სწორედ ეს სპექტაკლი იქნება წარმოდგენილი ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრის „ახალ სცენაზე“.

19 სექტემბერს თეატრში მისული მაყურებელი ნახავს წარმოდგენას „მარო მაყაშვილის დღიური“, რომლის რეჟისორიც გოჩა კაპანაძეა, მხატვარი – ლომგულ მურუსიძე.

სპექტაკლში მონაწილეობენ თამარ გოგიძე, მაკა გელაძე, დალი დოიჯაშვილი, თინათინ კობალაძე, მადონა ტეხური და ანა ხურციძე.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მსხვერპლი, 19 წლის მარო მაყაშვილი, პირველი ქართველი ქალია, რომელსაც ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. მარო მაყაშვილი თავისუფლების, პატრიოტიზმის, თანასწორობის და, საერთოდ, ყველა კეთილშობილი იდეალისთვის თავგანწირული ადამიანის სიმბოლოდ იქცა.

სპექტაკლი იწყება მარო მაყაშვილის დღიურის აღმოჩენით. მსახიობები კითხულობენ დღიურს, მხატვრული ხერხებით აცოცხლებენ 19 წლის გოგონას განცდებს, ოცნებებს, მისწრაფებებს, მისი თვალით დანახულ რეალობას... ომის საშინელ დღეებს დამოუკიდებლობის ზეიმით აღფრთოვანება ცვლის, აღმაფრენას ისევ ომი ახშობს... ეკრანზე გამავალი კადრები მეტად ამძაფრებენ ეპოქის აღქმას. დღიურისთვისაც ვერ განდობილი სიყვარულის ობიექტი, – „ის“, ბოლომდე ოცნებად რჩება...

გიორგი ლობჟანიძე გორის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ დაინიშნა

პოეტი და მთარგმნელი გიორგი ლობჟანიძე გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ დაინიშნა.

ინფორმაცია ერისთავის თეატრმა გაავრცელა:

– გიორგი ერისთავის სახელობის გორის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ დაინიშნა ცნობილი ქართველი პოეტი და მთარგმნელი გიორგი ლობჟანიძე. ვულოცავთ მას ჩვენს გუნდში შემომატებას და იმედი გვაქვს, მისი დიდი გამოცდილება, ნიჭი და გემოვნება ჩვენს თეატრსაც სასიკეთოდ წაადგება.

გიორგი ლობჟანიძეს გამოქვეყნებული აქვს მრავალი თარგმანი არაბული და სპარსული ენებიდან. არის ბევრი სამეცნიერო ნაშრომისა და გამოკვლევის ავტორი. მისი შრომა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში აღნიშნულია ბევრი მნიშვნელოვანი ჯილდოთი და პრემიით. გიორგი ლობჟანიძის ცალკე პოეტური კრებულები გამოცემულია ლიტვურ და იტალიურ ენებზე. ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული ალმანახის „პირველი სხივის“ მთავარი რედაქტორია, ახლა კი საკუთარ გამოცდილებას გორის თეატრის დასსაც გაუზიარებს.

თაკო ჩხეიძე ტელევიზიას უბრუნდება

მოდელი თაკო ჩხეიძე პაუზის შემდეგ, ისევ ტელევიზიას უბრუნდება.

ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „იმედის დილაში“ თაკო წაიყვანს რუბრიკას „შენი დრო“, სადაც სტუმრებთან ერთად ძალიან მნიშვნელოვან და საინტერესო თემებზე ისაუბრებს.

თაკო ჩხეიძე მაყურებელს ყოველ სამშაბათს შეხვდება და დაარწმუნებს მას, რომ ყოველდღე აუცილებლად უნდა დაუთმოს მინიმალური დრო საკუთარ თავს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ჩრდილების თეატრი მონატრებული გასტროლისთვის ემზადება

ბუდრუგანა გაგრა – ჩრდილების სახელმწიფო თეატრი მონატრებული გასტროლისთვის ემზადება. 19 სექტემბრიდან ჩრდილების თეატრი ბოლნისის რაიონის სოფლებს ესტუმრება: 19 სექტემბერს დაბა კაზრეთის კულტურის სახლში წარმოადგენს სპექტაკლს „წელიწადის ოთხი დრო“, ჩაატარებს მასტერკლასს ბავშვებისთვის, მოაწყობს საგანმანათლებლო დოკუმენტურ-ანიმაციური ფილმის „იაკობ გოგებაშვილი. ცხოვრება და მოქალაქეობა“ ჩვენებას.

26 სექტემბერს ჩრდილების თეატრის დასი ქვემო ბოლნისში ჩავა, სადაც სოფელ ქვემო ბოლნისის კლუბში წარმოადგენს სპექტაკლს „წელიწადის ოთხი დრო“, მასტერკლასს ბავშვებისთვის და საგანმანათლებლო დოკუმენტურ-ანიმაციური ფილმის „იაკობ გოგებაშვილი. ცხოვრება და მოქალაქეობა“ ჩვენებას.

ჩრდილების თეატრის გასტროლი 29 სექტემბერს სოფელ ბოლნისში დასრულდება. სოფელ ბოლნისის აღაიანის სახელობის სახლ-მუზეუმში თეატრი წარმოადგენს სპექტაკლს „წელიწადის ოთხი დრო“, მასტერკლასს ბავშვებისთვის და საგანმანათლებლო დოკუმენტურ-ანიმაციური ფილმის „იაკობ გოგებაშვილი. ცხოვრება და მოქალაქეობა“ ჩვენებას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯვოსვოხდი ა



შვეულად: 1. მხატვრულად გაფორმებული, რბილყდიანი ბროშურა; 2. ხევსურული ტანსაცმელი; 3. ძღვენი, საჩუქარი; 4. სევანის ტბის ძველი სახელწოდება; 5. ქართველი მოქანდაკე, როდენის მოწაფე; 8. ვენესუელას დედაქალაქი; 12. ქართული სამშენებლო კომპანია; 13. საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება; 14 ინდოელი მოჭადრაკე მამაკაცი, დიდოსტატი; 16. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 18. ხელოვნების მუზეუმი მილანში; 20. ცხვრის ქონიანი კუდი.

თარაზულად: 6. თათარაში ამოვლებული, ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 7. საზეიმო კონცერტის დასკვნითი ნაწილი; 8. ბრაზილიური არაყი; 9. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 10. მოქმედების უნარის დაკარგვა, დამბლა; 11. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი, საერთაშორისო კონკურსების გამარჯვებული; 15. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 17. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 19. ქართველი მხატვარი ქალი; 21. საგამოფენო შენობა; 22. რაიმე საქმის ზერელე მცოდნე; 23. კინოსა და თეატრის ქართველი მსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა